

დავით არახამია

მზის სიფერონი

დავით არახამია

მზის საფირონი

თბილისი 2016

დავით არახამია
მზის საფირონი

რედაქტორი: მარინა თექთუმანიძე

დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

© დავით არახამია
ყველა უფლება დაცულია

„საუნჯე“, გამომცემელი ვაჟა წოწკოლაური
SAUNJE Publishing House, Vazha Tsotskolauri

ISBN-978-9941-451-90-4

სამშობლოსავით მცხოვრები კაცი მოფრინდებიან ისევ მერცხლები, გამოიარეს გზა ულმობელი, ამ საწუთროში ძლივსღა ვჩერდები, გამწუთხებულა წუთისოფელი. წერს დავით არახამია და არაერთი ადამიანის სათქმელს ამბობს. ამ გამწუთხებული წუთისოფლის შვილები ვართ და, გვინდა თუ არა, მწუთხე აის-დაისებით გვითენდება და გვიღამდება. პოეტს კი წუთისოფლის მაჯა უჭირავს ხელში და მის გულისცემას მიყურიადებული, ასეთ მართალ სტრიქონებს გვთავაზობს. არაერთი ლექსს შეხვდებით ამ კრებულში, სადაც ავტორი მსგავსი, წუთისოფლის რაობით დაფიქრებული, ადამიანის ყოფნა-არყოფნის, ამქვეყნიური ვალდებულებების შესახებ მსჯელობს და წუხს. ვინც დავით არახამიას იცნობს, ყველამ იცის მისი მეორე ადამიანის მიმართ თანაგრძნობის, სიყვარულის, შეძლებისდაგვარად მხარში დგომის შესახებ, ამიტომ არის ეს სტრიქონები ძალზე გულწრფელი და ყოველგვარი ყალბი პათეტიკისგან დაცლილი. დაე, მე ვზიდო გოლგოთის ჯვარი მოყვასის გამო, რომ განვიქარვო მეც წუთით ჯავრი- განცდილი ამოდ. დავითს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი სამშობლოსადმი. პოეტს აწუხებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა და ასეთ სტრიქონებს ამოათქმევინებს: ვინც უერთგულა მიწას და მამულს, ვინც დაიხარჯა სულით ხორცამდე, ვინც არ გაექცა სინდისს და ნამუსს, მას სულიწმიდა უნდა ლოცავდეს. ვარ აკლებული მშფოთვარე განცდით, ტკივილი ჩემი არ არს ახალი... და ამ უბადრუკ სიცოცხლის ჩათვლით, უდრეკ სიკვდილთან ვარ წილნაყარი. ამ სტრიქონების კითხვისას გამახსენდა ჩვენი დიდი მწერალი ლევან გოთუა და მისი უკვდავი, საოფორიზმე სტრიქონები. "თუ შენ სამშობლოზე უკეთ ცხოვრობ, ვერ ყოფილხარ მთლად უანგარო!" (მაპატოს მისმა სულმა, თუ სიზუსტე ვერ დავიცავი მისი ამ სტრიქონის მოშველიებისას). დავით არახამია კი ის კაცია, რომელიც ზუსტად

სამშობლოსავით და სამშობლოსთვის ცხოვრობს. ცალკე განსახილველია სიყვარულის თემა, რომელსაც, ასევე, არაერთი ლექსი მიუძღვნა პოეტმა. ამ ლექსებს წიგნში გაეცნობით. მე კი, მანამდე, ერთ სტროფს კიდევ მოვიყვან დავით არახამიას ლექსებიდან და ვუსურვებ, რომ "მზის საფირონს" გაენათებინოს მისი ცხოვრება და გაეკვალოს გზა მკითხველის გულისკენ! გამიფერადებს მშვენიერ წამებს მადლი უფლისგან ნაცხებ მირონის, მაგრამ უშენოდ დატანჯულ ღამეს ვერ აცისკროვნებს მზის საფირონი.

მარინა თექთუმანიძე

ჟამი გადმოშლის

გატრუნულია ნუშის ხეები,
ამოიწვერა ველზე სამყურა.
სულის წიკწიკის სიმებს ვეხები,
მყოფადი მალე სიყრმეს დაწურავს.

რადგან ცხოვრება მიდის თავის გზით,
ჩავინაცრები გულის ღადართან.
შემომსხვრევია რისხვა თასივით,
ეს რა უდროოდ შემომაღამდა.

ვერ გადამექცა ცხადად სიზმარი,
ნაცოდვილარი, როგორ ვცხონდები?!
ჩარაზულია ისევ ცის კარი,
დელგმამ ჩარეცხა ისევ კორდები.

და, ამ გარუჯულ ფიქრთა რიალში
ქარმა წახვეტა ნაფერფლი უცებ,
მგზნებარ ძიების ორომტრიალში
ჟამი გადმოშლის უახლეს ფურცელს.

მაგრამ უშენოდ

ფიქრი ტალღებად მეხლება გულზე
და მენატრება ჩქერი ჩანჩქერის.
გიახლოვდები ოცნების ზღურბლზე,
როცა უსაზღვრო სივრცეს გავცქერი.

ჰა, ნაკვერჩხალი ღვივდება ძველი,
გული თბილ ღიმილს ძლივსღა იმეტებს.
კვლავ თავს მახსენებს იარა მწველი,
უიმედოს რომ მოჰგვრის იმედებს.

გამიფერადებს მშვენიერ წამებს,
მადლი უფლისგან ნაცხებ მირონის,
მაგრამ უშენოდ დატანჯულ ღამეს,
ვერ აცისკროვნებს მზის საფირონი.

ვერ გავემიჯნე

ოცნების მგზავრულს, რადგან ადვილად ვერ გავემიჯნე,
როდესაც გიმზერ, მიხარია თოთო ბავშვივით,
ამ სოფლის ვარამს შევეჭიდე, გადავაბიჯე,
ჟამთასვლამ ბევრჯერ შემარხია ტოტებაშლილი.

ამ ქვეყნად, ალბათ, ნაფერები ბავშვობის შემდეგ,
სულის ლაჟვარდი მართალ სტრიქონს თუ შეუქია,
შემინდოს ღმერთმა, პირველ თრთოლვას ვიხსენებ დღემდე,
რადგან წარსული ღიმილმომსკდარ ყრმობის შუქია.

მოჩანს ცხოვრება, ჩამარცვლილი, ფიქრის სარკეში,
ვერ გავემიჯნე ნათელ აზრის დიდ შთაგონებას,
ვხეტიალობ ყმაწვილკაცობის ბუღსა და მტვერში,
სული, -ზეცას, სხეული მიწას ვეღარ შორდება.

მდუმარებამ სიმართლის გზა იცის

ასე სწრაფად რომ გადიან წლები,
ცად მიილტვის ამოსუნთქვა მიწის.
ცრემლებს იშრობს გულმხურვალე მთები,
მდუმარებამ სიმართლის გზა იცის.

კვლავ აკვნესდა სალამური ლერწმის,
არ მინდა, რომ ოცნებები ჩაქრეს.
მე, ცოდვილი მიწისა და ზეცის,
უფალს ვანდობ უკანასკნელ სათქმელს.

იმედის სხივი

მიხმობს განწყობა ბრძოლის და წინსვლის,
უნდა ვაპკურო შხეფები ვარდებს.
ავყეფდი, როგორც ქარის წისქვილი,
ტაიჭით ველზე გავინავარდე.

თითქოს გავკვეთე სინათლის ზღვარი,
იატაგანი ავაბზრიალე.
გულზე დაესო ღრუბელს ლახვარი,
იმედის სხივი კურნავს იარებს.

მწუხარებისგან

რადგან წარსულში ხედვა მომინდა,
მზერას მივაპყრობ ძველთაძველ კვარცხლბეკს,
გაუფასურდა ხიბლი ცთომილთა,
ჩემი თილისმა ხვაშიადს ამხელს.

თუ არხილულის ხილვა გაცხადდა,
დრო შეფასების ნდომას ვერ მოშლის,
გული აღშფოთდა და აცახცახდა
დღევანდელობის ქიშპით და შფოთით.

როს აჯეჯილდა ბოგინი ფლიდის,
მწუხარებისგან გავშრი, გავქვავდი,
დრო-ჟამი მაინც მაცდურად მიდის
და უიმედოდ გსდიო სადამდი?!

ვარ ბედნიერი?!

ზეიმის ეშხი იგრძნო ბუნებამ
და ისისხლხორცებს აისის ისრებს,
ცხოვრების ახლად შემობრუნება
მწადია დღესაც, ისევ და ისევ.

ეს მრწამსი თუკი, აღარ გაქრება,
შეეხამება ლაჟვარდს ფერები
და ალიონზე აკიაფდება
თვალები, ბაგით მოსაფერები.

ფეხადგმულია ღირსების მადლი -
გალაღებული და ნებიერი,
გრძნობებმა წელში გაწყვიტა დარდი,
რადგან მოგენდე, ვარ ბედნიერი?!

არ მინდა

ფანდურს ვაკვნესებ წკრიალას,
ცრემლი არ შრება თვალებზე,
მიმალულ სატრფოს დავეძებ,
გადახსნილია იარა.

ვერას გავხდები გოდებით
ბედ-იღბალს შენაჭიდარი,
მიწას მივები ჭიპლარით,
სულით ცას ვუახლოვდები.

ავბედის წამხდარ ამინდთან
გაშინაურდა ქილიკი,
შორი-ახლო მდგომ სიკვდილის
მოახლოება არ მინდა.

ასე ამაოდ

სიჩუმე მთვარის ბილიკებს უტევს,
თვალი შემავლო ღრუბელმა ელდით,
ფიქრები ფიქრებს ძალუმად უღრენს
და დააჩოქა განცდები სევდის.

მგონი გადავწვდი მუხის კენწეროს,
ტყე იცრემლება -ურცხვად ნაკაფი,
აქ ყოჩივარდებს უნდა ვეფერო
და ვიმარხულო ცისკრის ნახვამდი.

სევდით ვუცქერდი გაჩეხილ ტოტებს,
ნიავი ქროდა, ცა იყო მშვიდი,
ასე, ამაოდ, როდემდე მოვცდე?
თავსზემოთ ბუდეს იკეთებს ჩიტი.

ეს საოცრება

გაშლილი სივრცე სულის ლაბირინთს
თუ შთაგონების კარიბჭეს უღებს,
სასომიხდილი თუნდაც ამ დილით,
მძიმე ცხოვრების ვეწევი უღელს.

აჰა, მომესმა ცისკრის ჰანგები,
გაყინულ მუზას ფიქრებით ვათბობ,
ვერ დავიოკე სული ნაგვემი,
იმედით ვუმზერ მომავლის მნათობს.

ვერ გავიქცევი წუთისოფლიდან,
ცაში კაშკაშა ვარსკვლავებს ვეძებ,
ეს საოცრება აღარ მყოფნის და
მადლი შევწირე ბერმუხის ფესვებს.

ფიქრებს ავყევი

მდელო ადუღდა სხივთა თაკარით,
ჭალამ გაშალა ზურმუხტის ფარჩა,
სტრიქონში წივის მარცვლების ქარი,
რითმის გნიასში სიცხადე არ ჩანს.

ჟამის მსხვერპლი ვარ, რადგან, ცოდვილი,
გიზგიზა ცეცხლი სულში ანთია;
დადუმებული და გათოშილი
ტოროლას ხმებში ვეძებ განთიადს.

უკანასკნელი ჰანგით შევთრთოლდი,
ფიქრებს ავყევი, ვკითხულობ, -რისთვის?...
მინდა დავეცე, როგორც მებრძოლი
გაუცხოებულ სიმართლის თქმისთვის.

შეგუება

ცამ ცისარტყელა შემართა მშვილდად,
იშვიათი და მიუწვდომელი;
ამ ალიონსაც ვერ ვხვდები მშვიდად,
რადგან განკითხვის ჟამი მომელის.

რადგანაც სიტყვებს მაშხალად ვცრიდი,
ლაჟვარდს დასერავს ჩემი ფიქრები.
რადგან ცხოვრებას ჯახირად ვთვლიდი,
უბადრუკობის მგმობი ვიქნები.

ამ წუთისოფლის განვლილი წლები,
ვერ ესადაგა სამოთხის შვებას.
წინაპართ გვერდით დარჩება ძვლები,
სული უსასრულ განედებს სწვდება.

მზეს შენატრის

გულს რომ კორტნის სინანულის განცდებია,
შთაგონებამ სული მკვეთრად ააკვნესა.
ცის ტატნობზე ცთომილებიც ბაცდებიან,
ელვამ ღრუბელს ფრთა მოსტეხა ასალესად.

ბეღურები წვიმის თქეშზე ოცდებიან,
სურნელებამ დეკა ლამის აამღეროს.
ღვარი მდელოს მირონივით მოსცხებია,
მზეს შენატრის ნაზამთრალი საქართველო.

რომ შეგასმინო

კვლავ ნეტარებით მიღელავს გული,
უხმოდ ღუღუნებს გრძნობა მალული.
შევცქერი წყვდიადს სულგანაბული,
ტკივილს შეერწყა სიმის ჟღარუნი.

ამ უღიმღამო თავისუფლებას,
გადაეფარა ბინდის სუდარა.
სასოწარკვეთა დამეუფლება,
თუ ვერ გასმინე ხვეწნა, მუდარა.

ბრმა აღსარება

სხივმოღუღუნე დილის ზმანება,
მოიზლაზნება ვით ქარავანი.
განვლილ წყვდიადის ბრმა აღსარებას,
ვერ გამოხატავს სრულად ვერავინ.

არა, არ არის სულერთი ჩემთვის,
თუ არ ჩამოჰკრეს განგაშის ზარი...
და როს ერის ხმა გაზაფხულს ერთვის,
არ დაეხშობა სამზეოს კარი.

დღეთა წარსულთა მღვრიე ჩანჩქერი,
გადმოიღვარა თითქოსდა წამით.
ხრამებს ზემოდან ძლივსღა ჩავცქერი,
გახუნებულა ეს დრო და ჟამი.

რადგან ჩამქოლა

განწყობა ციცქნა და სიფრიფანა,
ბედმა რისხვისგან ვერ დაიფარა.
მაცდური ხანი კვესავს რაც უფრო,
ბინდისფერდება ჩვენი საწუთრო.

მამული -ჩვენი ფიქრის დურბელა,
შემომეცრიცა სიტყვა უთქმელად.
აწმყო წარსულის ლანდს ედავება,
შეუცნობელი რჩება ღვთაება.

არ იყოს მწირი და შესაბრალი
უკანასკნელი თავშესაფარი.
რადგან ჩამქოლა სეტყვამ ტრამალში,
სიკვდილ-სიცოცხლის მესმის თამაში.

შევძლოთ ღმერთთან მისვლა

მივყვები დინებას,
ქაფდება ტალღები,
ცამ თქეში ინება,
ზვირთებს ვედავები.

ალბათ მოვალ ისევ,
ავწიე აფრები,
ფიქრით ოაზისებს
კვლავ დავეწაფები.

შევცვალოთ როლები,
ავცდეთ ეშმას რისხვას,
სულის ათრთოლებით
შევძლოთ, ღმერთთან მისვლა.

ხილულით გამშრალი

მომავლის განსაცდელს დაჰკივის
სივრცეში ნატყორცნი მაშხალა,
სიჩუმე მაოცებს ალვის ხის,
რაკრაკა ბინულიც დამშრალა.

ნაბიჯი კანკალით გადავდგი,
მთვარემაც ცას ზიზღით ახედა,
უძლური, შიშისგან გავშმაგდი,
ცხოვრების მიფრინავს კარეტა.

ბოღმისგან უმწეოდ ვცახცახებ,
შეყოვნდა მნათობის ციალი,
ხილულით გამშრალი ვაცხადებ:
კაეშანს მიენდო წყვდიადი!

აღმავსებს შუქი

უსაზღვრო სივრცეს კვლავაც გავივლი
და ვითავისებ საოცარ ხილვებს,
შენი ზმანება დუღს ვარსკვლავივით
და მოლოდინი ფიქრებში მითრევს.

აღმავსებს შუქი გასაკვირველი,
ამ ღვთაებრივი ღიმილის მერე,
სიმშვენიერით ჯერ უხილავით
შევუერთდები წარმავალ ფერებს.

რა გამაჩერებს

და როს გამეფდა ჟამი მწუხრისა,
გაუფასურდა დუმილის ხიბლი,
მაქვს უდიდესი შიში უფლისა,
ფიქრი უჩინარ შორეთში მიჰქრის.

როგორ შევეწყო დუხჭირ ცხოვრებას,
როცა ჯეჯილობს უიმედობა,
გამასასტიკა ამაოებამ,
ვერ გავექცევი შფოთს და ყბედობას.

წარმავალია დროის დინება,
განწყობა ვხედავ რწმენას მიწამებს,
თუ უზნეობის ფრთები იშლება,
რა გამაჩერებს ცოდვილ მიწაზე.

ვერ დაეტევა

ვერ მივენდობი ოხერს და მზაკვარს,
ძარღვები მიგავს დაჭიმულ სიმებს,
დარდიმანდულად ვაკვნესებ საკრავს,
გრგვინავს დუმილი ტყვიაზე მძიმე.

თუ დამეუფლა სულზე უტკბესი
შენი მშვენების უსაზღვრო განცდა,
ვერ დაეტევა გული უბეში
ამართლებს ოხვრა, ამართლებს დაცდა.

აზრის სიბეცე

სიჩუმე ფიქრის ნაოჭებს ტბორავს,
სუნთქვა შეკვრიათ ჭალის ნაპირებს,
როცა მზე სივრცეს სხივებით ტორავს
გაუნასკვია ქარაფს საკინძე.

ვერ ვეგუები ბუნებრივ ვარამს,
ფეხს ვეღარ ვუბამ აზრის დინებას,
ამოუცნობი კოშმარი მზარავს,
როს ურვა დუმილს ემორჩილება.

ყოველ ნაბიჯზე ველი ფათერაკს,
არ მინდა ცრემლმა თვალი დანამოს,
აზრის სიბეცე ვეღარ გათელავს
შენიღბულ მრწამსის ხილულ სამყაროს.

ვნების ფიალა

გაბადრულ თვალის ციალი მახსოვს,
ეხლაც ჩამესმის შენი სიცილი,
როს მოგოგმანდი ჩემს შორიახლოს
შეგიფერადე თმები გვირილით.

იმ შთაგონების შევამკე მითი
და სათაყვანო გიძღვენი ლექსი,
სანთლად დაგინთე ოცნება მშვიდი,
ვნების ფიალა ბოლომდე შევსვი.

არ დაინისლოს

ვებღაუჭები ეკლიან ყორეს,
მოულოდნელად აკვნესდა შაშვი,
რა გადაივლის აზვირთულ მორევს,
მოგონებების ვერ მშველის რაში.

გადამაქროლებს ტყეებს და ველებს
ღამენათევი ცისკრის ზმანება,
როცა ვარსკვლავი ყელს მოიღერებს,
მეც ამაფეთქებს ის მღელვარება.

და თუ დავკრიფე ბაღში ვარდები,
გაიქარწყლება გულის ნაღველი,
ამ ჩვენს გარშემო შემოგარენი,
არ დაინისლოს ბინდის ფარდებით.

სიზმარი წუხანდელი

ცხოვრება ჩაეშვა ოცნების გრიგალში,
არა ჩანს სიმშვიდე, არ ფასობს ზნეობა.
საწუთრო აცრემლდა, გაბაცდა რიჟრაჟი,
მეწყერმა ჩარეცხა შიშველი ხეობა.

მხრებით შესდგომია ცას ჩუმი მყინვარი,
სიზმარი წუხანდელი მგონია ცხადი.
აჰა, დანარჩენი კვლავ ისევ წინ არის
და უფალს დავესესხე დუმილი დარდის.

ლექსის ფხა

არ ვაწუხებდი არავის,
ოდითგან ასე ვიყავი,
არ მინდა გულშემზარავი
დაგნიასობდეს ჭილყვავი.

რადგან ხმაური გახშირდა,
ზენა ქარია მომქროლი,
გამოვიკეტე სახლში და
ვამსხვრიე ფიქრის ბოქლომი.

გაბუნდოვანდა სიზმრები,
დემონი სურვილს მოიკლავს,
ისე გავსხიპე რითმები,
ლექსის ფხა უნდა მოვიმკა.

თუ შეყოვნდება

როს ალიონზე ყოველ ცისმარე,
ბედის ვარსკვლავთან უხმოდ ვსაუბრობ,
გული ჩამწყვიტა შენმა სიშმაგემ
ამ თეთრ ღამეში ფიქრთა საუფლოვ.

შორს ვერ გავქუსლავ ასე ტაატით,
ვერ წარმოვსახე მყოფადი სრული,
თუ შეყოვნდება წინსვლის საათი,
უფერულდება დღის დასასრული.

დამოძღვრილი ვარ

მოგონებები სანთლებად იწვის,
გაძნელებულა ლანდთან ლაციცი,
როს სინამდვილის ნდობას კვნეტს იჭვი,
ვაებით განცდილ ტკივილს განვიცდი.

თუ ბედისწერა მიმზადებს მახეს,
ვერ მივენდობი ღამეს მთვარიანს,
დავიქუხებ და ვიბრუნებ სახეს,
თვალს ვერ ვუსწორებ დღეებს ქარიანს.

ამიქვითინდა ისე ლექსები,
ამ ბობოქრობას ნუ გამიოცებ,
დამოძღვრილი ვარ სულის მწყემსებით,
მუხლს მოვიდრეკ და ისე ვილოცებ.

დაუცხრომელი

ნატკენი გული მაქვს მონუსხული,
რადგან წარსულის თან მდევს სამხილი.
ვერ დამაოკებს წუწუნ-ბუზღუნი,
წინაპართ ძვლების ქუხს შეძახილი.

ვესათუთები წამებს და წუთებს,
ეშმამ გაბზარულ სულში ჩამხედა,
აწმყო მომავლის ლაბირინთს უტევს,
დაუცხრომელი ჟამი აყეფდა.

ეს აწმყო

ეს ალეწილი ფიქრები მზაფრავს,
მყუდროება ჭირს დრო და დრო ხაპავს,
ჟამმა ცბიერმა იფეთქა სწრაფად
და ჩაისუნთქა წარსული ხარბად.

ვერ გამოვკვეთე აზრის კრებული,
ვერ ვუსადაგე ჰანგი ,,ჩაკრულოს’’,
აისს შევყურებ განცვიფრებული,
შენი ტკივილი მტკივა რაც უფრო.

ეს აწმყო მაინც მეიმედება,
ოცნება ელავს ვით საფირონი,
გული ადვილად აღარ ბერდება,
მომავლის რწმენას ეცხო მირონი.

თუ რეალობად იქცა ოცნება

ჟამი აისობს ტკბილ სასურველი,
მსურს დავეწაფო სანუკვარ ნექტარს,
მინდა შევიგრძნო მიწის სურნელი,
ცრემლი ვაპკურო ზამბახებს შემკრთალს.

ამიცისკარდა ეს საოცრება,
განცვიფრებული დემონი ოხრავს,
თუ რეალობად იქცა ოცნება,
სტრიქონი სულის ლაბირინთს მოხნავს.

ამ საოცრებით

უსასრულობას გავყურებ ცერად,
თვალს ვერ ვუსწორებ სხივებს მომღიმარს,
ვარსკვლავთ ბარტყობის რომ შევძლო მზერა,
სულის ზეობა ვთესო ოხვრიდან.

ამ საოცრებით გული შიშობდა
და მოლოდინის გავხდი ნატრული,
ზნეობა ხილულს დაშორიშორდა
მსწრაფლ გამრთელდება ცა გაფატრული.

გულს გადავუშლი

გულში ხშირ-ხშირად ნაცემმა მჯიღმა
თუ შეატოკა მრწამსის საზღვარი,
ამქვეყნიური ცდუნების მიღმა
ვერ გაიელვებს წინსვლის ლამპარი.

დამწუხრებულა ჟამი რაც უფრო,
იმედის სხივი ძლივსღა ანთია,
როს გაბრწყინდება მრწამსის საუფლო,
გულს გადავუშლი ღვთიურ განთიადს.

მაკრთობს ხარხარი

სასოწარკვეთის სიფითრე დაჰკრავს
განწირულობის გარდუვალობას,
უნდა ეშველოს ამ სულის კანკალს
რომ შეიფეროს უფლის წყალობა.

ბუნდოვანია არსი მყოფადის-
მწუხარებისგან სასომიხდილი
და ძილბურანში რომ მოგოგმანდი,
სივრცემ შეიგრძნო გულისტკივილი.

გარინდებულმა დავძაბე მზერა,
სანუგეშოა ცრემლი დამშრალი.
სულს ღვთაებრივი სწვავს აღმაფრენა,
მარადისობის მაკრთობს ხარხარი.

დილის დუმილი

თვალი ვერ უძლებს ფერების ლივლივს,
აისს ღრუბელი გაუწალდია...
დარდივით დნება დუმილი დილის
და უხიაგი წლები გადიან.

ეს გული ისე დასევდიანდა,
ვეღარ მაშფოთებს ვნების ძახილი;
ნათელს წყვდიადი ტანჯავს ნიადაგ,
ჟანგმა დაცხრილა ბასრი მახვილი.

არავინ უწყის ვის რა მოელის,
როგორ იკვნესებს ჩემი ნაღარა.
არას შემარჩენს წუთისოფელი,
ვერ ეგუება გული ჭაღარას.

ვეღარ დავდივარ, მე ნება-ნება,
ვეღარ ვიშუშებ იარას ლექსით.
წავა დღეების თამამი წყება,
მომავლის კვარცხლბეკს გასანთლავს ღმერთი.

სულმა შეუღო

ვით დაკოდილი ტაიჭის სუნთქვა,
ცოდვის სიმძიმეს, რომ ვერ მიათრევს,
ბნელეთის რისხვა სამყაროს თრგუნავს,
განწყობას სუსხავს დარდის სიმძაფრე.

ზებუნებრივი განცდის წყალობით
სულმა შეუღო ლაჟვარდს დარაბა,
უკვე აღვიქვი სულ სხვა განვრცობით
ამ წუთისოფლის დავიდარაბა.

კვლავ ქაქანებენ

გამოდარებულ ცის ტატნობს ვუმზერ,
ღრუბლები მზის სხივს კვლავ ეფარება.
კვირტის ფაჩუნზე და ჩამიჩუმზე,
ამხელს ალვის ხე მზის შეყვარებას.

როს დახრის მთვარე წამწამებს ნელა,
არ დააყოვნებს ღრუბელი ქვითინს.
დასჭექა ელვამ ავდრის სალხენად,
მიდამო ცრემლის ღვარცოფებს ითვლის.

მიუწვდომელის მარდი დინებით
რა გადასერავს ამდენ ტერასებს;
ეს მოფარფატე ცოდვის ჩრდილები,
კვლავ ქაქანებენ ბედისწერაზე.

ცოდვას გამხელილს

ფიქრი მიყვება გაშლილ ტრამალებს,
უსაზღვროების ხიბლი ნავარდობს,
ამდენ საზრუნავს, ღმერთო, რა დალევს,
როგორ დავეყრდნო ზეცის კაბადონს?!

ბუნებრიობა განცდას მიწამებს,
შენდობის მრწამსი ვერ მოვიხელთე,
ცოდვას გამიმხელს სრულად იმწამსვე,
განივთებული სულის სითეთრე.

სადღეისო

უკმარისობის უკურნავ სენით
გულს გაებზარა მყიფე სარქველი,
გათანგული ვარ ტკბილ-მწარე სევდით
ვერ ამოვხაპე უტყვი სათქმელი.

მივაყურადე ამღვრეულ რიონს-
ნადავლი მოაქვს ბობოქარ ტალღებს.
წარსული ნატრობს უქიმერიონს,
აწმყო კოსმიურ სიავეს ამხელს.

ამ სადღეისო ოცნებას გავცდი,
სასოწარკვეთას ბურანი ახლავს,
მომავლის ლანდი ჩირაღდანს მაწვდის,
სანთელს დავუნთებ წინაპართ საფლავს.

სახვალიო

რადგან არ შრება თვალებზე ცრემლი,
გაუფასურდა უტყვი ვედრება,
ჩვენს საიდუმლოს ინახავს გრემი,
უშენოდ მავალს მხარი მეცვლება.

ისევ იფეთქებს ვარდის კოკორი,
აამტვრიანებს შარას კარეტა,
ყურს აღარ ვუგდებ ამბავს მოჭორილს
და სახვალიოს ვკოცნი ნატერფალს.

სიზმარი ცხადად

თუ აჩახჩახდა ის მონატრება,
ყრმობიდან დღემდე დაფლეთილ მზერის,
თითქოს წარსულთან სიმი გამეგას
უთქმელ სიტყვების ჩამწყდარი ბგერის.

უბადრუკობას შეყოვნებია
ობმოდებული განცდა სიახლის,
ფიქრი ოცნებებს დამონებია,
ათქვეფილია ცრემლი ლიახვის.

სიზმარი ცხადად ვეღარ ვაქციე,
ვერ ავკიაფდი უხილავ ალად,
წკვარამის ვარამს თუ გავაღწიე,
ხორცშესხმას შევთხოვ შემოქმედ ძალას.

რაც დავთესე

მზე საცაა ჩავა,
მივაპყარი მზერა,
გაშიშვლება კმარა,
ქარი მიჰქრის ზენა.

შეიცვლება ხვალ-ზეგ
ზეცის მწველი ჟღალი,
მომადგება კარზე
ბედის ქარიშხალი.

მაჟრიალებს დღემდე
განცდა ელვის რისხვის,
უნებურად გენდე
განა ვიცი რისთვის?

თუ დროული რიდი
განწყობას ვერ შველის,
რაც დავთესე ვიმკი,
ვერ ჩაგჭიდე ხელი...

როს გამრთელდება

ოცნებამ სადღაც შორს გადამალა
სევდის სარკეში ცრემლის ჭავლები,
დრომ ხოდაბუნი გაატრამალა
ღვარცოფის თქეშში ამონავლები.

მოგონებების ღვივდება ალი
ჩამონაღვენთი ფიქრის ქედებთან,
ვეღარ ბობოქრობს სვლის არეალი
გარდასულ ჟამის პირქუშ კედლებთან.

თუ განმიქარვა ხილულმა წყენა
და აკიაფდა რწმენის ლამპარი,
შევუერთდები იმ აღმაფრენას,
როს გამრთელდება სულის ნაპრალი.

ვამკე არსი

მიწა ფიქრით,
ცა რისხვით.
საით მივქრი,
ბილწ სიტყვით?
გული ძგერით,
ტიტინით.
თვალი ცრემლით,
ქვითინით.
შუბლი ღარით
ნაწრთობი.
დრო ნაღარით,
გამრთობით.
ხელი თასით,
ბადაგით.
ვამკე არსი
სარკაზმით.
ვეაჯები
საწუთროს,
რომ ქაჯები
ამწუხროს.

მსურს

უცნაურ თრთოლვას ზმანებების მწვანე ფერებით,
რამდენი ღამე უმოწყალოდ გავათევინე.
სასწაულ ხილვით, ამ საოცარ მშვენიერების,
რამდენჯერ დარდსაც ჩემივ თავი გავათელინე.

არ დამცდენია საყვედური და სამდურავი.
უდროოდ დაღლილს შემაშველე ხელი და თვალი;
როგორი სევდით ვბუტბუტებდი, რარიგ მწუხარი,
გზააბნეულს რომ მიმანიშნე სიკეთის კვალი.

ნუღა დამცინებთ ამნაირი ფიქრების გამო,
მალე მეც წავალ ამ ქვეყნიდან, ვითარცა მდგმური.
უფალო ჩემო, მე დღეს შენთან საუბარს ვლამობ,
რომ მიმოვახლო შესაწირად მამულს ეს გული.

არ ჩანს

გულმა ტკივილი ბოლომდე იგრძნო,
ცის კიდეს მძაფრად ეხვევა ნისლი.
ცრემლთა ნაკადმაც იდინოს ვინძლო
და შეიფეროს დაღვრილი სისხლი.

ვერას ვუხერხებ ამ წუთისოფელს,
გაყურსულია ტყე დაბურული,
აქ სულიერი არ ჩანს სათოფე,
არ მელოდება ხიბლი ,,ურმულის“.

შორს, აუხდენელ ნატვრათა სევდამ,
კვლავ ამითრთოლა ღაწვები ქარში.
გაწბილებული მწვერვალს კი ვხედავ,
მაგრამ არა ჩანს ზღაპრული რაში.

ვერ ვაიმედებ

ისე იქუხა ტრფობის ნაპირთან
გავშეშდი, როგორც უტყვი ფიქალი.
გამჭოლი მზერა ისე გაჯიქდა,
გააცამტვერა ფიქრთა გრიგალი.

დამწვარი გული ვეღარ მსჯელობდა,
რას დავეძებ და ან რას მოველი,
ამ ზმანებების აღარ მჯეროდა,
რადგან სიზმარი იყო ყოველი.

სულის წეწვით და იალ-ციალით
ვერ ვაიმედებ ამ მგოსნურ გუმანს.
გაუფასურდა ლექსი ტრფიალის,
რადგან მუზები საეჭვოდ სდუმან.

როს დაუბერავს

ბინდით შემოსავს სივრცის განედებს
მარტოსულობის ცივი ზამთარი,
ციურ სიავეს უნდა დავნებდე
უნდა ჩავსხეპო რისხვა ავთვალის.

ფიქრით აღძრული სასოწარკვეთა
მიუახლოვდა განცდის კარიბჭეს,
ბოღმის ღვარცოფი თქეშად წამლეკავს,
ზმანება შვებას ვეღარ მანიჭებს.

გავითავისებ დროის დინებას,
როს დაუბერავს მომავლის სიო,
კამკამა მთვარის ამობრწყინებას
ვარსკვლავთა ხიბლით როდემდე ვსდიო.

საკურთხეველთან

არავინ უწყის
ეს გზა სად მიდის;
გზას ვამბობ, თორემ
სახრეა შინდის;
ცხოვრება თავზე
დამამხობს წისქვილს...
და ათინათებს
ჩაქოლავს ბინდი.
სურვილი დიდი,
განცდა -მცირედი,
აღზევდა ფლიდი,
ჩაქრა იმედი;
საკურთხეველთან
ხოხვით მივედი.

დროა

მოგონებების ფერმკრთალი ლანდი
დაფორთხიალობს ფათერაკებით,
სტრიქონებს ვებრძვი მშფოთვარე განცდით,
დემონებს ახლოს არ ვეკარები.

ვერ მოვუძებნე ჭაშნიკი სათქმელს,
დავდუმებულვარ, შემკვრია სუნთქვა,
ამ ქვეყნად ალბათ სრულად ვერ ვამხელ,
როგორ ვდაობდი საფერებ სულთან.

როგორ ვსხეპავდი ვაების ვარამს,
ვერ ვატოკებდი საზღვრის კარიბჭეს,
დროა ვუგანო პირღია წკვარამს,
დროა ზეცისკენ თრთოლვით ავიჭრე.

აფორიაქებს

კეკლუცობს მინდვრად პეწი ყაყაჩო
აშოლტილი და ყლორტებაშლილი,
ეჰ, ყოჩივარდებს გადავალაჯე
პეპლებს მივსდიე ანცი ბავშვივით.

ყმაწვილკაცობის განცდას ვერ მალავს
ოცნება -ფიქრში აზავთებული,
რადგან გულისწყლულს ისევ დანამავს,
ცრემლი, თვალებში დაზამთრებული.

ტკბილ მოგონების მცირე ნათელი
თვალთა ხილვიდან ვერ გამიქრება,
რადგან სურვილი ღამენათევი
აფორიაქებს გარდასულ ვნებას.

ვერ ვიზიარებ

ხარბად გავცქერი კამკამა სივრცეს
და წინათგრძნობა მაფორიაქებს,
უიმედობის ლანდი რომ მიმზერს
ვერ ვიზიარებ განცდის სიამეს.

გაუფერულდა ისე მყოფადი,
გაბზარულია სიბრძნის კარიბჭე,
ჩამოქროლილი სიო მომავლის
განწყობილებას ვერას ანიჭებს.

რადგან წყვდიადი მძლავრობს და მეფობს,
უფერულდება სამყარო წუთით,
როგორ ხანმოკლე აღმოჩნდა ერთობ
გაბრწყინებული გონების შუქი.

განცდა

რადგან დრო-ჟამი ვერ გუგუნებს ურმულს ნიადაგ,
არ ჩაიყინოს გადახლართულ ვენებში სისხლი...
და თუ მინდორი ყვავილებით გადაბრდღვიალდა,
შემზადებულა სამსხვერპლოზე ჩაქოლვა რისხვის.

კვლავ ჩაეხიდა ჩემი გული ბებერ იარებს,
რაც ვერ განვსაზღვრე, წუთით მაინც გავაზიარე;
ტკბილ-მწარე განცდას ქედი მაინც არ მოვუხარე,
ბევრი ვცოდე და ვაცანკალე, ბევრი სიამე.

ისევ მივენდე

ატეხილია აურზაური,
ვეღარ ვიოკებ ამ სევდის ღადარს,
სულში ნაქროლი ფიქრის ზღვაური
მიწეწავს ვნების განვრცობის მადას.

ვერ გავიკვლიე გზა ჩახლართული,
რადგან ჩამოწვა ნისლი ჩუმ-ჩუმი,
მამული -თქეშით ცრემლდანამული,
შფოთავს და გოდებს უტყვი ჩურჩულით.

ისევ მივენდე დროის ქარაშოტს,
თვალს მჭრის ლივლივა ფერთა ციალი,
დღეს უცნაურად ისევ მდარაჯობს
ეს ულმობელი ჟამი ტიალი.

ამ ნატყვიარი სულის წამებით
რა უხიაგად კრთება სამყარო,
უფლის ლოცვა და მადლი სამების
შეაფუცხუნებს ზეცის კაბადონს.

ნათელი აქვს სული წმინდანს

მძლავრობს ფიქრი არეული,
ოცნებაა მთვარეული.
დაედარა მზეს ასული
მწვერვალიდან ჩამოსული.
გაიპარა ჟამი ჩუმად,
შეიჭამა წლები უმად,
ნათელი აქვს სული წმინდანს,
სინამდვილე ამობრწყინდა.

არ ცხრება

გაგიღე გული, როგორც ბჭისკარი,
ისევე ხვალის იმედით ვცოცხლობ.
ჟამი-ჟამ, როცა შენკენ ვიჩქარი,
შორი ვარსკვლავი ციაგებს მხოლოდ.

ეს რა უაზროდ შემომათენდა,
არ ცხრება ზარი მოთქმა-გოდების;
ღრუბელი მთვარეს სითბოს ართმევდა,
ვზივარ ცივ ქვაზე და გელოდები.

უნდა შევება

მომეკითხება ბრალი და ცოდვა,
რა გულსაკლავად ატირდა თოვლი;
უფსკრულის თავზე მომიწევს მოცდა,
შხუის ნამქერი სერებზე მწოლი.

სცრის სიცივისგან ნაფერებ ტუჩებს,
დაიქოშინა ღამის მარულამ;
მაღალ მთას ნისლი კალთებს უმშვენებს,
უნდა შევება გრიგალს ძალუმად.

დაღლილი მზერით

რა საამოა ბუნებით ლხენა,
თუმც ზეცა ჯერაც მკრთალად ელვარებს,
ვერ დავივიწყე მე დღემდე წყენა,
ნისლი რომ ბურავს მთებზე მწვერვალებს.

სიხარულისგან ატირებულა
ნაკადულებად, მკაცრი ზამთარი,
გაზაფხულზე კი კვლავინდებურად
ვეღარ თარეშობს ისევ ავდარი.

ვხედავ ღრუბელი აცრემლდა უცებ,
მაკრთობს გალობით ჩიტი ღაბუა.
გარინდებული სამყაროს ვუცქერ
დაღლილი მზერით, ჩვილი ბაბუა.

არ შემეფეთოს

როცა მომძლავრდა ფიქრის თარეში,
ღრუბელიც გაქრა თითო-ოროლად.
გახვეული ვარ სევდის ბადეში
და ბანი მომცა ციდან ტოროლამ.

მზიდან მოფრენილ სიმღერის რაშით,
არ შემეფეთოს ავი სულები,
რადგან სიკეთის გაქარწყლდა შხამი
და ყოფის რისხვას ვედიდგულები.

გული ატოკდა

მწვერვალს მყინვარი ამშვენებს;
გული ატოკდა, ბორგავს გრძნობები...
მე, შენს გოლგოთას ვერ ავაშენებ,
თუ სამუდამოდ გემშვიდობები.

სულ სხვა სიახლეს ითხოვს სამყარო,
ვნება აჰყვება ქარის კარუსელს.
შენ წინაშე რომ თავი დავხარო,
განგების რისხვის თარეშს გავუძლებ.

ვერ ვაშოშმინებ

თვალებს ვუსწორებ ლაჟვარდს საამოს,
რადგან ფიქრები მიწას შორდება,
ფაფარაშლილა ცივი საღამო,
ბინდი და შფოთი მიახლოვდება.

დაღონებული სივრცე ქათქათა
ჩამქრალ ნათელით გარემოცულა,
უკუნი წყვდიადს ტანჯავს თანდათან,
ავსიტყვის ხვავიც თქეშად მოსულა.

ოდეს კოშმარი მხუთავს და მზაფრავს
სანუგეშოა გონი ნაცადი,
ვერ ვაშოშმინებ ამ გულში ხანძარს
გამოოხშირა ქექვა ნაცარში.

მომიკაკუნებს

როცა ქმედებას გრძნობა განაგებს,
ყოფის საუფლო მაფორიაქებს,
დუმილის სიბრძნე ბრჭყალებს ჩაავლებს
მაცდური ძალის სულის სიავეს.

საწუთროს ვუმზერ ისე ალერსით,
რომ მითრთოლდება გული ბებერი,
ხმალივით ვიქნევ სიტყვას ალესილს-
სულის სითეთრის მაძიებელი.

ამ გაზაფხულის მარტი შეშლილი,
თუკი განწყობას ცრემლებს აპკურებს,
მიწა, მზის სხივით გამოკვებილი
ჩასახუტებლად მომიკაკუნებს.

ასე მტანჯველად

ვიხეტიალე
მაისის ღამეს,
ვერ ვეზიარე
საამო წამებს.
ციალი ნამის
გულს ეფინება,
გავგიჟდე ლამის,
ნუ გეწყინება.
ჯიქურ მიიწევს
ფიქრი ფრთიანი,
დარდს ვერ ივიწყებს
მრწამსი მზიანი,
დავდივარ ასე-
უაზრო ტვირთით,
იჭვებით სავსეს
ქუთუთო მითრთის.
რადგან არ მჯერა
ციცინი წამის,
ასე მტანჯველად
ბობოქრობს ჟამი.

სანამ

როს გაფითრებულ თეთრ მწვერვალს ვნახავ,
გამოანათებს ვნებად ცისკარი,
უჩინარ ფიქრებს გულში ვინახავ,
სათქმელი სრულად ვეღარ გითხარი.

ცბიერი ვნება გონებას მიმღვრევს,
რომ ვერ დავცალე ტრფობის ფიალა.
ღმერთს უნდა ვთხოვო წყალობა ისევ
სანამ ცხოვრებამ ჩაიგრიალა.

ჩანჩქერთა თქეში

ცისკრის ნათელით ნაჩუქურთმევი
გულში იფრქვევა ოცნება წმინდა,
რადგან წარსულის სევდა უთქმელი
მთვარის შუქივით დაეშვა ციდან.

ვნებათა ღელვის ქონგურებს ქარგავს
განუსაზღვრელი სივრცის ბჭე ჩუმად,
შეშინებული თვალებში ვსახავ
ამ წუთისოფლის ფიქრსა და გუმანს.

სულის ქვეშეთში სიჭარმაგე სდუმს,
უხილავ ფერთა ციალებს ეშხი,
ცაზე ბუღია მიწა ხვატით დუღს,
იღვრება დარდის ჩანჩქერთა თქეში.

ჭიდილით

მამლის მესამე ყივილზე
ბინდის ცრემლს თუ ვერ ვნახავდი,
ვერა, ვერ გამოვიფხიზლებ
სულის საგვემი სახადით.

წარმავალთან კი ჭიდილით
საწუთროს ლანდი მელევა,
მინდა, რომ ლამაზ სიკვდილით
მამულს დავდინდე ცრემლებად.

ვეღარ

მომფერე და უჯიათი
აღტყინებით ფერადით,
მირაჟების ჭიატით
საუცხოოდ ელავდი.

ხსოვნის სიანკარეში
ჩემი ლოცვა-ვედრება,
ღამეული კაეშნით
ცის კაბადონს ეხება.

არ მასვენებს ფიქრები -
ნატყვიარი დამღები,
მშვიდად ვეღარ ვიქნები
სისხლის წვეთად დამდენი.

დღეს ალიონზე

როცა აჩქეფდა სისხლი უებრო,
გულს ეფონება ქარის გნიასი.
ვერ გაიხარებს ვარდი უეკლოდ,
სევდის მაშხალას სულს ვერ მიაწვდი.

დღეს ალიონზე შორიდან ვუმზერ,
როგორ ალეწა მზის სხივმა დილა.
რა ეშველება ჩაცხრილულ მუზებს,
მათ ოლიმპოზე გააწნეს სილა.

ძლივსღა

სიბრძნემ გააღვივა იჭვი,
უფლის განაჩენის მჯერა.
ოხ, ეს სავალალო ნიჭი
როგორ უთავბოლოდ მზვერავს.

ისევ მოგონება მათბობს,
მაცდურ განჩინების სწორი.
ძლივსღა მოღაღანე მნათობს
მთვარემ მოუღერა ტორი.

დასჯა

ვერ გამაოცებს ფიქრთა რიალში
შორი ვარსკვლავის მწველი ნათელი,
ამ ცდომილების ორომტრიალში
აცრემლდა მთვარე ღამენათევი.

აჰა, ზღვის ღელვაც ისე მინელდა,
სულმა შეიგრძნო მრწამსის მხილება,
გამოიკვეთა ჰანგი ფრინველთა
და მზემ ვარსკვლავის დასჯა ინება.

ნაპერწკლის ექო

გადაბერებულ ცოდვილ მიწაზე
ცით გადასახლდა მზე ზღვის ოხვრაში,
დღე იმალება იქვე, იმ ჟამსვე
უკუნთან ჯიქურ ქედის მოხრაში.

არ გაფერმკრთალდა და ვერ დამთავრდა
აზრის ნაყოფის ჭიდილი სულთან,
ცოდვა და მადლი სამყაროს რთავდა
მე კი ცის თაღზე ნავარდი მსურდა.

ამ ჩემს შუადღის აღმართს და ბექობს,
თუ კი გაუძლებს ნატანჯი მხრები,
ანთებულ თვალის ნაპერწკლის ექოს
დააგუგუნებს ფიქრების მთები.

დე, დამიამე

ხილულ სამყაროს სიმშვენიერე
ნანატრ სიამის გასაღებია.
იმ სიკეკლუცეს ისევ იფერებ,
ნარნარებ, როგორც ანცი ფერია.

ჰოდა, ეს ხიბლი აღარ მასვენებს,
მსურს სიახლოვის სიმი ვაჟღერო.
კრძალვით გავცქერი სივრცეს ნაფერებს,
დე, დამიამე ვნება, ჩანჩქერო!

უფსკრულის თავზე

შემართულია ხელი მსახვრალი
ქარიშხლის მერე ნაცრად შთენილი.
არარა რჩება გულს გასახარი,
ისე, ვით ფერფლი ცად გაფრენილი.

გამოვექეცი ჩრდილებს საშინელს,
დამიბრუნდება ვითომ ხალისი?...
ხვალინდელი დღის სუსხი მაშინებს,
რადგან იმედის ჩქამი არ ისმის.

კვლავ აციმციმდა ვნება ჩვეული,
ჩაიხითხითა ბინდში ბუნებამ.
უფსკრულის თავზე თავაწეული,
შევჩერდი სულის მოსაბრუნებლად.

ვერ ვინარჩუნებ

რა ჰაეროვნად გალობს ეს ჩიტი,
თითქოს დნება და სანთლებად იწვის.
მინდა ავმაღლდე თუნდ ერთი ციდით
და უნდობლობის განვდევნო იჭვი.

რადგან მივყვები სევდის ყველა გზას
და ბედისწერაც მიმზადებს მახეს,
იმ სახვალიო ცარგვალს ვერ ვსახავ,
ვერ ვინარჩუნებ პირვანდელ სახეს.

იმწუხრება

ასე თავაშვებული,
მთვარის შუქით ნაქადნი,
მძიმე უღელს შებმული,
როგორ გავძელ აქამდი?!

ორღობიდან ანაზდად
მობაჯბაჯე სიბერე -
მაინც ანცობს ლამაზად,
ასაკი ვერ იფერებს.

გული შიშის ფეთებით
ვარამს უახლოვდება,
ცხოვრების ტლუ ბელტები
აქუცმაცა დროებამ.

განცდა კეთილმყოფელი,
იმწუხრება ვარდებად,
ურჩი წუთისოფელი
წარსულს შლეგად ბარდება.

თუ ყოველივე

ნაქარწვიმარზე, საავდრო ნისლში
ამოიწვერა ნამგალა მთვარე;
ასე მგონია, ხელახლა ვიშვი
და ვარსკვლავები იფშვნეტენ თვალებს.

თუ ყოველივე არ არს ზმანება,
თუ ისევ ბრწყინავს ივერთ საუფლო,
გული მახეში აღარ გაებას,
უფალმა ყოფის არსი გვაუწყოს.

ვნატრობ

გალობენ მთები
მთრთოლვარე ჩქამად,
იღვრება წლები,
ცა დნება ნამად.

ამ ზეცის ტატნობს
ცრემლი რომ რეცხდა,
კვესაბედს ვნატრობ
შენს ჩამქრალ ცეცხლთან.

მრავალ განსაცდლის

ავთრთოლდი, მაგრამ არ ვიცი, რატომ,
ვერ ამიხსნია, რაა მიზეზი,
შლეგი მარტია, ქარი ქრის მარტო,
გრძნობა თუხთუხებს უფაქიზესი.

მივყვები შარას ნისლით შებინდულს,
გულდამეწყრილს კი ფეხი მერევა,
სიმები უთრთის რაკრაკა ბინულს,
განცვიფრებისგან სული მელევა.

გადაუქროლა დარდმა მაღალმთას,
აღვირახსნილა ფიქრის სატანა.
ლაგამმოდებულ დროის გრიგალქარს
მრავალ განსაცდლის უწევს ატანა.

რადგან მახსენებს თავს სიყმაწვილე,
გულს ვიიმედებ ძალ-ღონეს ვიკრებ,
ნაგრიგალევი თავი გავწირე,
ბურანში ვარ და გზას ვეღარ ვიკვლევ.

ჟამის სიფითრე

ლამპრად ანთებულ ცისკრის ნათების
აჩრდილს ფეხდაფეხ მივსდიო უნდა,
მშფოთვარე განცდით სული ნათელი,
ვერ დაიტიოს ამ გრძნობამ თუნდაც.

ელფერი აწმყოს მკრთალი რომ ახლავს
ჟამის სიფითრე მეალერსება,
კოშმარი გულში მარწუხებს ხლართავს,
მრწამსს თვალის გუბე ცრემლით ევსება.

სავსეა სივრცე ფათერაკებით,
იღბლის სარკმლიდან დემონი ავობს,
ათრთოლებულან თეთრი ზარები,
სიმშვიდე სულის ლაბირინთს აკრთობს.

ნაღველით სავსე

ველარ მივენდე გონდაბნეულ ჟამს,
გამკვირვებია, თუ რისთვის ვდუმდი.
ირგვლივ ნათელი არსაიდან ჩანს,
ვერ გავარჩიე კარგი და ცუდი.

მგონია ლაფიც დამასხეს თავზე,
ბებერი გული დასევდიანდა,
ვშფოთავ და ვბორგავ ნაღველით სავსე,
რადგან წყვდიადი მტანჯავს ნიადაგ.

მამული

ამაოებას ვუმზერ დუმილით,
როს გულის ფეთქვა დარეკავს ზარებს,
შევეხმიანე შინაურივით
ამ წუთისოფლის დაბნეულ მგზავრებს.

ვხედავ წარსული ფიქრებში ჰყვავის
და მთვარის შუქი ეშვება ციდან,
დღევანდელობის არ ფასობს ყავლი,
გულში ბობოქრობს ოცნება წმინდა.

ფიქრთა რიალში იმედით ვცოცხლობ,
მიჰქრის ნატყორცნი ბედის ისარი,
ისევ მაფიქრებს მხოლოდ და მხოლოდ -
მამული ხატზე დასაფიცარი.

ეს აღტკინება

უცხო ძახილი მომესმა შორი -
რაღაც სიავის მაცნე,
რისხვა თვალიდან გამონაჟონი
ცდილობს თავზარი დამცეს.

შური ბოროტი ყვირის, ღრიალებს,
ბედისწერული ხმობით სიკვდილის,
სულის სიწმინდეს ადარდიანებს,
ეს აღტკინება სასომიხდილი.

უცებ

თვალზე ვიმშრალებ სიამის ცრემლებს,
კვამლივით მიაქვს სული ქარიშხალს.
კვლავ ჩავკირკიტებ ნაღვლიან ლექსებს,
როცა ვარსკვლავთა ცვენა გახშირდა.

სადღაც შორეთში გაშიშვლდა სული,
ძლივსღა ვბუტბუტებ ფსალმუნებს, ლოცვებს,
ვერ გავიკარე რადგანაც რული,
კვლავ მეყვსეულად ვიხსენებ ცოდვებს.

უცებ მომესმა ზარების რეკვა,
ცისფერი ხატის მიდგას ნათელი.
დელგმა სხივების შხეფებს ირეკლავს...
და ძილბურანის ბანგით დავთვერი.

არ უადვილებს

გული გაწყალდა ოხვრით და კვნესით,
დათუთქულია სოფლის შარაგზა.
მიმოვიქანცე ფიქრების კემსვით,
ბუს შეკივლებამ სულ მთლად დამზაფრა.

ისევ ციაგებს ნათება მკრთალი,
ოხვრა აღმოხდა ალვის ხის ფოთლებს...
და ნაწვიმარზე ალალმართალი,
ვერხვის ტოტები ცრემლებმა მორთეს.

ახლად აქოჩრილ ბუნების მსგავსად,
მინდა, სამყარო ჰგავდეს სამოთხეს.
ეჰ, სხივმოფენილ კვარცხლბეკზე ასვლას,
არ უადვილებს ზენა შემოქმედს.

ვერ ვხვდები

დამტოვა დარდის ამარა
გაუცხოებამ ცისმარე,
ყოფიერების გზაშარა
მექცა ცრემლების მდინარედ.

სდუმან ბებერი ხეები,
სუნთქვით კენწეროს ვეხები,
ეს უნიათო დღეები,
რად მაჯახირებს, ვერ ვხვდები...

ძებნა

გული ბოღმით მევსება
ნაპირს მომსკდარ ზვირთივით,
წარსულს ეალერსება
აწმყო შემცბარ ღიმილით.

ვნება ფიქრით დავგესლე,
განცდა-მოგვრილ წამებით.
აღრენილი დაგეძებ
ცეცხლოვანი თვალებით.

მთვარე ღამემ გაკენწლა
ჯანყით მბორგავ ტრამალში,
წინსვლის ძარღვი გამესკვნა
სასიცოცხლო თამაშში.

ვერ ვეღირსე

სიკვდილამდე ვარამს ვლესავ,
საწუთროს ზედ დავაკვდები.
სიცოცხლეში გულს მიხეთქავ,
როს ჩავქრები, დაგაკლდები.

ვერ ვეღირსე მზისებრ ამბორს,
ვარსკვლავს ყანწი ვერ მივართვი,
რადგან შემცბარ მართალს ვამბობ,
შორს ვერ წავალ ამ სიმართლით.

დაკვესავს ზარი

აცრემლებული ათინათების
გაუფასურდა, როცა, პროფილი,
გულსაკლავია ბჟუტვა ნათელის
სიბნელის რისხვით უარყოფილი.

გადასერილი მზერის მახვილი
დაცხრილულია მზაფრავ წყვდიადით,
გაცეცხლებული ვნების ძახილი
აამებს წყლულებს გრილი იაზმით.

იდუმალება მიმწუხრს გამიშლის,
ხავერდოვან ჟამს, როგორც წარსულში,
განცხრომა როცა ხდება საშიში,
დაკვესავს ზარი მთრთოლვარე სულში.

ჩააწიკწიკებს

ამდენ წიოკში კვლავ დამათენდა,
გაყურსულია ნაგვემი დარდი.
მზე ძველებურად ვერ ანათებდა,
რადგან აცივდა და რადგან ბარდნის.

არ მობეზრდება თარეში ავსულს,
გამოღვიძებულ სულშიაც ბნელა.
ჩააწიკწიკებს პწკარედი წარსულს...
და ჰა, იქუხა მომავლის ელვამ.

გაანაპირებს

სხივი ცისკარის
ქარის ბილიკებს,
უტყვი სიზმარით
გააქილიკებს.

სიბრძნემ გააპო
ჟამი საძილე,
არსი კალაპოტს
გაანაპირებს.

მომავლის რწმენას

მზით შენაფერი დილის ღიმილი,
როცა დაკოდილ გულს ამიჩქროლებს,
თითქოს ნათდება შვების ბილიკი
და ვიახლოებ ამ შენს სიშორეს.

წარსულზე ფიქრი სულს ეღვინთება
და უნდობლობის გიჟმაჟობს ქარი.
ზლაზვნით მივყვები დროთა დინებას,
რომ ვაცოდვილო სიმრუდე ქნარის.

მზის მწველ ამბორით ჩამარჯნებული,
ტატნობს ეხება მუხის კენწერო;
ამ გაწბილებით დამარცხებული,
მომავლის რწმენას უნდა ვეფერო.

რომ ესადაგოს

გავითავისე შიში და კრძალვა,
გადახსნილი აქვს ძარღვი ქარაფებს.
გული ბოლომდე ვერაფერს მალავს,
განკითხვის ქომაგს არ ვთხოვ არაფერს.

ლეგა ღრუბლებმა შეიცუნდრუკეს,
გადმოაფრქვიეს ცრემლი მალიმალ.
წყვდიადი უკრავს ხვნეშით დუდუკებს,
ცოდვით აღსავსე მძორი გალიგვდა.

ვერას მიშველის წუწუნი, კვნესა,
უკან დახევას ვერ ვითავისებ;
მინდოდა რაღაც არაკი მეთქვა,
რომ ესადაგოს იმ დღეს ხვალინდელს.

განწირულობა

გაწბილებული ეჭვებით სავსე
კვლავ უგზოუკვლოდ დავეხეტები,
უღელი, ჭაპანს როგორღა გასწევს,
საკუთარ გარსშიც ვეღარ ვეტევი.

სული ნავარდობს ცაში ორბივით,
ბობოქრობს ჯინი აღტკინებული,
იფეთქებს გულში მთუთქავ ბომბივით,
სისხლი ძარღვებში შედედებული.

განწირულობა გულისხმიერი
დღემდე ნატვრად, რომ მქონდა ქცეული,
ვერ ავიცილე განცდა ცბიერი,
აღზევდა წამი ეშმაკეული.

ამ გაზაფხულზე

ამ გაზაფხულზე როგორ ვნატრობდი,
რომ განვერიდო მზაფრავ განსაცდელს,
როს განივთდება სულის ტატნობი,
არ შეიძლება რისხვა არ ამცდეს.

რახრახით ჩავლილ ამ მატარებელს,
მიუნგრევია მზაკვრობის ფარი
და მოგონებებს დაუმთავრებელს,
განგებამ ღვთიურ დასწერა ჯვარი.

მივაყურადე რითმების თავსხმას,
მზიურ წყალობის გავიგე გემო,
აღარ ვაპირებ არაფრის ახსნას,
რადგან ვემონე ამ მგოსნურ დემონს.

ურვის შეცნობა

ურცხვად ხარხარებს განცდა ბოროტი,
თან სიჭაბუკე იჩქითად იწვის,
არ განმეორდეს არა, სოდომი,
გამძაფრებულა ყივილი მიწის.

ღაწვზე ნაღვენთი ცრემლებით ვთვრები,
უიმედობას ვეღარ ავიტან,
გაწბილებულა გუგუნი მთების,
ურვის შეცნობას ვცდილობ თავიდან.

მომბეზრებია

წუთისოფლისგან კარგს რას მოველი,
რადგან საწადელს ვერ მივაღწიე,
გაბინდისფერდდა ირგვლივ ყოველი,
საწუთროს გვერდი ვერ შევაქციე.

შენზე ვფიქრობ და ასე ვლოცულობ,
ცრემლებით ვერწყმი იორს, ალაზანს,
თვალებციმციმა ყვავილებს ვეტრფი,
მსურს ჩავეკონო შენებრ ლამაზმანს.

მშიერ-მწყურვალი სიყრმე, დამზრალი,
კვლავ ფაფარაშლილ გაზაფხულს ზვერავს,
მომბეზრებია ასე წანწალი,
რადგან დამთრგუნა ბოროტის მზერამ.

ნეტარება

რა დრო გასულა... და აი დღესაც,
ვეკეკლუცები ვნებას გარეწარს;
იგივე მიწა, იგივე ზეცა,
ალერსის სითბოს თავზე მალეწავს.

ის ნეტარება ფრთებს გამომაცლის,
ზეცისკენ ქროლვა, რომ მომინდება.
ღრუბელი ლაჟვარდს უმწეოდ აცრის,
მთვარეს ეამა მზის გარინდება.

მომიხმობს

სუნთქვას გულ-ღვიძლი ამოვაყოლე,
გოდებს ოცნება -ფრთაშერუჯული,
ზეცის მოძახილს კვლავ ჩამაგონებს
განწყობილების უტყვი ჩურჩული.

ზე ავიჭრები მოულოდნელად,
შემოდის სულში ვნების ძახილი.
მისასტიკდება და არ მშორდება
შავბნელი მზერის ბასრი მახვილი.

შეცნობა მწუხრის ვერ მოვასწარი,
ვბორგავ და ვგოდებ სიზმარეული,
მიახლოვდება შფოთის ისარი
შემმუსვრელი და გესლდანთხეული.

შიში თვალთაგან გამონაჟონი,
როს ქვესკნელისკენ მიმიხმობს მხოლოდ,
შეუცნობელი უცხო ხმა შორი
მიწიერ ფშვინვას მოუღებს ბოლოს.

მთვარის აჩრდილთან

როგორ ცვდებოდა, როგორ წყდებოდა,
რაც იდებოდა იმედის ხიდად.
როცა ავსული გამოჩნდებოდა,
აჩქეფდებოდა ცრემლების წვიმა.

ყოფიერების ლაბირინთებში,
ძნელია მშვიდად იხეტიალო...
საჭირბოროტო სიმწუხარეში
მთვარის აჩრდილთან ვიწყებ დიალოგს.

რომ მთელ დუნიას

მინდა, სიცოცხლე პეპელასავით,
თუნდაც სამი დღე,
რომ ეს სამყარო მცირეოდენ
სიკეთით ვქარგო;
ბოლო წუთზე კი ტერენტივით
ისე გავგიჟდე,
რომ მთელ დუნიას საქართველოს
სურნელი ვამცნო.

ეღირსება?

დარდი დარდზე უარესი,
ფიქრი ფიქრზე ნაშენი;
ნეტავ, როდის გამოჩნდება,
ღმერთო გზა და საშველი.

ჩაფერფლილი იმედები,
ჩამომჭკნარი იები;
თავს ვიტყუებ უცოდველი
ცოდვის მონანიებით.

ცრემლიანი მოლოდინი,
დაპირება მაცდური;
ეღირსება? - როდესმე კაცს
ყოფა კაცურ კაცური.

ვერ ვურიგდები

გამაგებინა ამ გულისწყრომამ
დუშმანთან რატომ დაიდო ზავი,
მომავალს როგორ შეხედოს გრძნობამ,
როგორ გამოვყოთ საქვეყნოდ თავი.

აქვითინებულ კვნესის დუღილო,
წაყრუებით და ხან ყურისგდებით,
მითხარ, ბოღმისგან ვის შევუღრინო,
რადგან სიძულვილს ვერ ვურიგდები.

მაჟრჟოლებს

გრიგალს რომ ვებრძვი უტეხი ნებით,
გულს ეფინება ჰანგი ნაღარის.
კვლავ გაღვივდება ღადარი ვნების,
შენდობას ითხოვს ცოდვა იმ ღამის.

ჩანჩქერის ზვირთი ღარავს ქარაფებს,
სიმების წკარუნს ახშობს ხმაური.
აისის სხივი მყინვარს ანათებს,
იღვიძებს გრძნობა ფერსაცნაური.

სიცოცხლე ჩემი არის წუხილი -
შორეულ მნათის აელვარება.
შემაჟრიალებს ელვის ქუხილი,
სამყარო ბეჩოს დაედარება.

ვერ ვიადვილებ

ამ უკუნეთის უმწეო ბოღმა
ვერ აფუცხუნებს ხვალინდელ კოკორს.
ძაბუნად თავი დახარა ზოგმა,
ზოგი კი ჯიქურ მოაწყდა გოდოლს.

გული აეწვა სანუკვარ სერებს,
ვაზის ყლორტების სიფითრე გაცვდა.
ვერ ვაგვირისტებ ბუნებრივ ფერებს,
ვერ ვიადვილებ სიკვდილის განცდას.

ფიქრის გორა

ბრმა იმედების ამარა
დავბორიალობ ცისმარე,
ამ წუთისოფლის გზაშარა
შხუის ცრემლების მდინარედ.

ვერას გავხდები გოდებით,
გული იშუშებს იარებს,
რადგანაც გიახლოვდები
კურცხალი თვალს მიპრიალებს.

ფიქრის გორაზე ამოვალ,
ცოდვას გაგიმხელ შორიდან.
მშველელად ნუთუ არ მოხვალ,
დაკოდილ გულის სწორი ხარ.

აზრის გამჭოლი

როს ვარსკვლავებთან მორცხვად ვსაუბრობ
ზეცის ციაგი თითქოსდა კრთება,
კუნაპეტ ღამეს ფიქრთა საუფლო
აფორიაქებს ამ ცხოველ ვნებას.

გაიკაფება ბილიკი ცისკენ
ლოდინის მთუთქავ არსის რიალში,
იმედის კარავს ასხივებს ისევ -
აზრის გამჭოლი ორომტრიალი.

ჩემი რისხვა

იმ ხსოვნას ვერ დავაძველებ,
რაც რომ ჩემში ხარობს;
შავს თეთრად ვერ ავაჭრელებ,
სხივს ვერ მოვწყვეტ ტატნობს.

ვერ ავყვები საჩოთიროდ,
საწინსვლაო მრუდე კიბეს.
ჩემი რისხვა მაცოდვილებს,
რეტდასხმული მივსდევ ირმებს.

ამ უღიმღამო

გამკვირვებია რომელი
დროა, -მკურნალი ყოვლის,
სულმოუთქმელად რომ ველი
და უმოწყალოდ მკორტნის.

დამძიმებული უღელი
კვლავ დამაჩოქებს დიდხანს,
ბოღმისგან ისე ვიღრენდი
აწმყოს, ვექეცი მჯიღად.

გაცოფდა ბედის მარულა
ამ უღიმღამო დროსაც.
სასრულის არ დასასრულად
გასამხელია ცოდვა...

კვლავ ზეცისაკენ

დაუდეგარი ჩემი ფიქრები
უსაზღვრო სივრცეს შესჭიდებიან...
მე მათ რბოლაში ვბორგავ, ვიღლები,
ისინი მაინც არა ცხრებიან.

ხან გადუქროლეს ვარსკვლავებს თავზე,
ხან დედამიწის ქერქში ძვრებიან,
ზოგჯერ ცეკვავენ ავარდნილ ალზე,
თითქოს ეძებენ ალქაჯს თმებიანს.

ზოგჯერ ცხოვრების ორომტრიალში
მეტეორივით დაეშვებიან;
ამ უსასრულო სრბოლა, ყიალში,
კვლავ ზეცისაკენ აიჭრებიან.

აიკლეს ღამე

აისი ძიძგნის ბუნების სანახს,
მთვარე-ღრუბელი, შერჩნენ ცას ორი.
ჩაეძინება ყვავილს და ბალახს
მიწის და ზეცის საუფლოს შორის.

აცრემლებულა დღეს მწვანე კონცხი,
ჩიტებმა სტვენით აიკლეს ღამე,
ნაძვებს დამფრთხალი ქარი დაკოცნის
გაითავისებს განცხრომის წამებს.

მსუნაგი სილაღე

ქარი თალხ ფარდებს მწვერვალზე ჰკიდებს,
ააჩორიკა დემონმა, ღამე,
აწყვეტილია სიმწრით საკინძე,
ავსულის რისხვა დამემსხვრა თავზე.

სიზმრები მქონდა ოცნებით სავსე,
გამომეღვიძა ფიქრის გრიგალში,
ზმანება მსუნაგ სილაღით მავსებს
დაუმთავრებელ ზღაპრის გნიასში.

ბედის ჩივილი

დამხრჩვალი ქარი უმწეოდ წივის,
ზღვის ღელვა მაინც აღარ მინელდა,
კვირტივით სკდება წვეთები წვიმის,
ცვარი მეყრება მხრებზე მძივებად.

მოქუფრებული ზეცის კივილით
ეხმიანება ძველთაძველ ორღანს,
აცრემლებული ბედის ჩივილი
განწირულ სულის აღსასრულს მოჰგავს.

რად მაცოდვილებ

გაცრეცილია ფერმკრთალი ხიბლი,
ქვეცნობიერი რჩება ზღაპარი.
მეხმა სამყაროს დაუფრთხო ძილი
შემომაყარა ეშმამ ნაცარი.

რა შეედრება ჭაბუკურ თრთოლვას,
რად მაცოდვილებ ბედო, ტიალო,
ამ თავდაღმართის დამფრთხალო ბოღმავ
ღრუბლებში სანამ მახეტიალო?

საიდან გაჩნდა

ჯავრი მაწევს და უფრო მახელებს,
ნაფიქრალი რომ მარცვლებად დავყო,
კრძალვით ვეფერე დაღლილ სახეებს,
რომ მადლი ეცხოს მოწეულ ნაყოფს.

საიდან გაჩნდა ამდენი ღვარძლი,
ამოსუნთქვაა მსხვერპლშეწირულის,
მინაცრულია სოფელი ხვალის,
ცრემლშემშრალია თვალი ხილული.

გულს ეფონება

ვეალერსები გაბადრულ ცისკარს,
მალიმალ შევთხოვ უფალს ვედრებას.
ზმანება წეწავს წუხანდელ სიზმარს,
აწმყო მაინც არ მეიმედება.

რადგან სიავის მძლავრობს სამხილი,
გულს შვებად ალბათ ისიც ეყოფა, -
ნამგალა მთვარე ცურავს დაღლილი,
გამკლავებია ღრუბელთ ხელყოფას.

ნაფერები მზის რომ მწვავს ალმური,
შევეზიარე ლექსს -სახვალიოს.
გულს ეფონება ხმა სალამურის
და ბოლი ასდის ბეხრეკ ყალიონს.

ვხედავ

არ მახალისებს დინება დღეთა
და მდუმარების უხმო ქირქილი.
ხალისის საზღვარს ისევ ვერ ვკვეთავ,
წარსულის განცდის კვდომას მივტირი.

ვერ დაგივიწყე, გულში იმედი
უნდა აფეთქდეს და აიტაძროს.
აგიჟმაჟების ზღურბლთან მივედი
და ვაქუცმაცებ სულიერ საზრდოს.

ვხედავ, სიცოცხლე ურცხვად ხალისობს,
აკანკალებულ ხელით გეხები.
განგების მრწამსის თასი აივსო,
მაგრამ მისახვედრს მაინც ვერ ვხვდებით.

ააქვითინებს

სიმღერა როცა იკვნესებს სულთან,
აჟღერდებიან სამრეკლოები,
ცაში ნავარდი ნეტავ რად მსურდა,
წარსულო, ასე რად მეგლოვები.

სეტყვამ დაცხრილა სივრცე მთვლემარე
დილა ახვნეშდა ღრუბლის მუქარით,
ზეცას ეყრება დაჭრილი მთვარე,
ნიავქარს მოაქვს ექო მწუხარი.

როს უცხო სხივი ეშვება ციდან,
იმედი კენწლავს უეცარ შეშლილს,
ააქვითინებს ზარს ნიკორწმინდა
სვედამძიმებულ ცრემლების თქეშით.

მძლეობენ წლები

ცბიერ თვალების ნაჩხვლეტი მტკივა
მწუხრის ფიქრებად გადავლილ მგზავრის,
როს უხილავის ვლამობდი ხილვას,
გამიკამკამდა ცრემლების ღვარი.

ვერ გაექცევა საზრუნავს ათასს
ეს მიწიერი უსაშველობა,
დღე მიილია, იბერტყავს კალთას -
ლიუციფერი იწყებს ზეობას!

დუმილის ენამ შეკვეცა ფრთები,
გულს შინაგანი სწვავს ალმოდება,
სიმშვიდისაკენ მძლეობენ წლები,
დრო უფლის განსჯას დაელოდება.

რომ გავემიჯნო

გულს ეფონება ტინების ქნარი,
სურნელი მათრობს, ნირი მეცვლება,
მერცხლების ნავარდს მოვკარი თვალი
მე კი სულიდან წლები მეცლება.

მაინც არ ვიცი ვის ვეთაყვანო,
რომ განიკითხოს დრო ნაწამები,
რომ გავემიჯნო ცბიერ სამყაროს,
დაუდევრობით შენაწყნარები.

ვერ ვუთავბოლე

ამ მწყურვალ მზერას ნუღა დამიშლი,
მსურს მიწიერი გაქრეს დარდები,
ნაფერებ თვალის დამყვება შიში,
ვნების ქარტეხილს უღვთოდ დავნებდი.

გამაცამტვერებს ეს გატაცება,
მომნატრებიხარ ეგზომ ისევე,
ფიქრის გორაზე ბინდი რომ წვება,
მე იმ სევდიან ღამეს ვიხსენებ.

რადგან ცხოვრებამ გამრიყა განზე
ყმაწვილკაცობის ჟინი აკვნესდა.
გთხოვ მაპატიო, რადგანაც ასე,
ვერ ვუთავბოლე ჟამის საკენწლავს.

გამძაფრდა ქარი

მრავალი სახე მიცქერის რისხვით,
გამძაფრდა ქარი მრისხანე დღეთა.
ცრემლიან გზაზე ვაებით მისვლით,
მიუკარებელ სიჩუმეს ვხედავ.

მოგონებების ორომტრიალში,
დაღლილი ფრთებით ზანტად დავეშვი.
მაინც კეკლუცობს ჟამი ტიალი,
სივრცის და ზეცის სისადავეში.

შენი ვარამი

შენი ხმა სისხლში უნდა გამიჯდეს,
რომ გაიფურჩქნოს ვარდი ნაგვალვი.
გაწბილებული ლამის გავგიჟდე,
გულს დამიოსებს სნება ამგვარი.

ნუ შეეცდებით, ვერ დამიზავებთ,
ვერ მაცდუნებენ ეშმას ლანდები;
თუკიღა ისევ არ გამიკარებ,
ბოლოს მომიღებს შენზე დარდები.

ტკივილით ზეცა უნდა ავხადო,
დაგიცხრო სევდა შენი კვნესამე;
ღმერთს მოწყალებას ვთხოვ, რომ გამხადოს
მაგ შენი სულის მონათესავედ.

ვერ ითავისე

რომ შეიფერო მადლი ღიმილის,
უნდა შეგიპყროს უსაზღვროებამ,
როცა დააფრქვევ ცრემლებს ძილის წინ
ედიდგულები ამაოებას.

თუკი დაგიცდა ბაღნარში ფეხი,
ვერ ითავისე ვარდის ფურცლობა,
შრიალი მაინც შეიგრძენ ვერხვის,
არ დარჩე ჩემთვის გამოუცნობად.

გაანიავებს

სრულყოფილება განზრახვას ასცდა
გაუცხოების მწველი ხავილით,
უმოქმედობა მავანთა კაცთა
თვითმყოფადობის წნეხში გაივლის.

თმააქოჩრილი შლეგი ქარბუქი
გაანიავებს სასოწარკვეთას,
სამყაროს სასრულს როგორ დავუცდი
დარდის ღვარცოფი თუკი წამლეკავს.

მავანმა უწყის

ტაიჭი მათრახს არ ემონება,
თავს არ იმართლებს უფლის წინაშე,
გათასმულია გარემოება,
ზეშთაგონების კვარცხლბეკს მივმართე.

მავანმა უწყის, რადგან სიმართლე,
საცნაურდება სიბრძნის ნაყოფი,
განურჩევლობა ითხოვს სინათლეს,
ამოცისკარდა დარდი სამყოფი.

ვერ აცოდვილებს

გალაღებული ბალახზე ვწევარ
და შევიგრძენი ეს ცა და მიწა,
გავითავისე ტალღების რწევა
სულში მომავლის ნაღარას სძინავს.

მშვიდდება სივრცე და მეც ვმშვიდდები,
ღვთისგან ნაბოძებს ვესათუთები,
როგორ ანცობენ დღეს აქ გვრიტები,
ცაში ლაღობენ მერცხლის გუნდები.

სხივი მოასკდა სარკმელს ჩიტივით,
ამ გულის ბზარებს სილაღით ავსებს,
როს ბედისწერას აღარ მივტირი,
ვერ აცოდვილებს სიმუხთლე ამ სვეს.

უნდა ვამრავლოთ

ისევ ჩამესმის ჩიტების კვნესა,
ბედნიერების ნექტარით სავსე.
მერიდიანებს სხივები კვეთავს
და ოკეანე ზვირთს ცამდე ასწევს.

როს ჩაესვენა მზე დიდებულად,
შინ მოგოგმანობს ტურფა ასული...
გარემო ისე გარინდებულა,
მოუახლოვდა თითქოს ავსული.

არ დაგვაოკოს უკუნმა დელგმამ,
არ დასადგურდეს ცრემლი და შიში.
რომ არ იმძლავროს ურჯულო ხელმა,
უნდა ვამრავლოთ მოდგმა და ჯიში.

და როს

შენს მრისხანებას ვეღარ ვეჩვევი
და ეს ცხოვრებაც მკლავს უნებურად,
მწვავს და მაწამებს ეს ბრმა ეჭვები,
თვალს ვერ გისწორებ კვლავინდებურად.

და როს საწუთროს გავხდი მგმობელი
ოცნება დარჩა ფრთების გარეშე,
დაძენძილია წუთისოფელი,
ჭინკებმა ველი მოითარეშეს.

რით ვითავისო

აღარ მიყუჩდა მოთქმა-წუწუნი,
არ ვიცი როგორ ავხსნა ზმანება.
განთიადს მუდამ ყვედრის უკუნი,
როს სივრცეს სხივი ესადაგება.

თვალს და ხელს შუა გაქრა სიზმარი,
თითქოს მიწია ეშმაკის კრულვამ.
რით ვითავისო შენი ცისკარი,
როგორ ვიომო ლახვარ დაკრულმა.

ლურჯ სიშორეში იხრჩობა მრწამსი,
შენზე ნაფიქრი მორევით სავსე;
იქნებ გავტეხო როგორმე ნავსი,
ზარი შემოვკრა გუმბათის თავზე.

ღირსი

ჩვენი სიცოცხლე წამიერია,
ო, ეს წამები, რა სწრაფად გადის.
ბევრი ვარამი დაგვიძლევია,
არ ვიცით, ბედი ვის რას გვიქადის.

კაცობრიობას არ მოეშლება
ოცნების სხივი და იმედები...
მამული გვიხმობს! სამშობლო გვრჩება, -
ღირსი ხატყოფის და გაღმერთების.

სანუგეშოა

მოლოდინს ძერწავს სიმართლის განცდა,
მოსაჩვენებლად ნიღაბს ვერ ირგებს,
ჩამოშვებულა ჯურღმულის ფარდა
და სიხარულიც ვეღარ შევირგე.

დელგმა ვერ ავსებს უფსკრულს ლოდებით,
განცდა ვერ აღწევს სრულყოფილებას,
როს ემატება ცოდვებს, ცოდვები,
სანუგეშოა მისი მხილება,

არ უზავდება გული უკუნეთს,
უიმედობის ნესტსა და ჭაობს,
მომავალს მშვიდად ვეღარ ვუყურებ,
როცა სიკეთეს სიავე ჭარბობს.

ვერ შეატოკებს

კვლავ გადაივსო საფერფლე,
უკვე ბახუსიც მძლავრობს;
მოკვდავო, ლამის გათეთრდე,
ლიუციფერი ხარობს.

გახანგრძლივდება ხვალე,
იმ სინანულის ჟამი.
სამოთხის მძიმე კარებს
ვერ შეატოკებს ჯანი.

შესაცვლელს შეცვლის

უფსკრულთან იცდის
ლიუციფერი,
განუდგა სინდისს
არსი ცბიერი.

ვერ აჩანაგებს
ურვა მეობას,
მრწამსი განაგებს
სულის ზეობას.

როცა მილეთი
ყბედობს გარშემო,
უნდა მცირედი
მაინც აშენო.

ხნულში რომ თესლი
ამობრწყინდება,
შესაცვლელს შეცვლის
დროის დინება.

არ ვუფრთხი

ადამის მონაგარს
რა აღარ მწადია;
ცრემლები მომადგა,
გახუნდა მანტია.

არ ვუფრთხი არაფერს,
მაშინებს სიმშვიდე.
ეშმა ცრის ქარაფებს,
ფრანგული ვიშიშვლე!

აღარ მავიწყდება

ნაომარ ცის მომსწრე
თავს ვერ ვართმევ საქმეს,
ვწევარ თოთო მოლზე,
იქ ის ოხრავს, აქ მე.

ისევ მენატრება
სუსტი ქარი ზენა,
აღარ მავიწყდება
მაშინდელი წყენა.

თვალთმაქცობა ოდით
ხელწერაა ფლიდის,
გულის უღვთო კოდვით
ეს ცხოვრება მიდის.

და დამიბრუნე

შუაღამეა, მძინარს ჩამესმის
ხმა, რაღაც მკვეთრი, ცბიერი, ფლიდი,
არ ვარ ჩვეული ამ ძილბურანში,
ამდენ ბორგვას და სიზმართან ჭიდილს.

ამ კოშმარების ორომტრიალში
გამძაფრდა სულის კივილის ექო...
მეტს ვეღარ შევძლებ, გამომაფხიზლე
და დამიბრუნე სიცხადე, ღმერთო!

აღუღუნდება

წიწვოვან გორებს თავს ვერ ვანებებ,
ჯიხვის ნავარდი ამშვენებს ქარაფს.
გაცლია სიქა ძველ-ძველ ზმანებებს,
აწმყოს ვერ ვაცლი მტვერსა და ტალახს.

დაძრწის ფიქრები ქარივით ჩქარი,
სანუგეშოა სხივის ციმციმი.
საშინელია და გულსაკლავი
წაქცეული ხის სიმწრით სიცილი.

არ დააყოვნებს ავდრის ხორხოცი,
აღუღუნდება ძველი ბუხარი.
მონანიებით უბიწო ლოცვით,
ჩაცხრება სული ნაქარბუქარი.

ვერ დავიოკე

დილის სისხამზე კვნესის ჩიორა, -
შველას ითხოვსო, შველას, მამული.
ახალ ფეხადგმულ შვილს გულში ვიკრავ,
და მაკრთობს ფორთხვა ჭერში ღამურის.

ვერ დავიოკე ოხერი გული,
ზამთარი წასვლას ჯერ არ აპირებს;
ცახცახებს ყინვის ქათქათა სული,
სიმშვიდის ხიბლი ძარცვავს ნაპირებს.

და ყველაფერი

გულყრის ტოლია ამ ბუღში დაღლა,
გაასმაგება ნატვრა ქარისა,
როდესაც ერთ დროს, იმ მოსეს აღალს
სწყუროდა წყალი იორდანისა.

იმ მწყურვალებმა სად არ იარეს,
ვის აკვნესებდა, ვის კი ალხენდა,
ბევრს უშუშებდა თითქოს იარებს,
ბევრმა ტკივილი თავად გახედნა...

და როცა ტალღა ისევ თამაშობს,
იმ ქანაანის ირხევა ფარდა, -
შევეჭიდები ბევრჯერ ქარაშოტს,
დავძლევ ყველაფერს სიკვდილის გარდა.

როს უნებურად

როს სასიკეთოდ მეცვლება ნირი.
რაც უკუღმაა, წაღმა წავმართე.
გულმა შეიგრძნო ღაღადი მწირის,
ჟამის სიმძაფრე თითხნის განაჩენს.

განგება მაინც თავისას იტყვის,
ფესვს ვერ იკიდებს მრწამსი შენდობის.
როს უნებურად ქარწყლდება ფიცი,
ჩრდილში გაყურსულ სინდისს ვენდობი.

ამ საწუთროში

ვეღარ განვჭვრიტე ცხოვრების დვრიტა,
ვერ შევიმეცნე ნუგეშის მადლი.
გაუცხოება სასწაულს იტანს
და სიახლოვის შორეთში ბარდნის.

ეჰ, გახსენებაც აღარ მინდება,
ეჰ, გული ამდენს როგორ დაიტევს...
ღმერთმა წყალობა თუ არ ინება,
რისხვა ოცნებას თქეშად წაიღებს.

მოფრინდებიან ისევ მერცხლები,
გამოიარეს გზა ულმობელი.
ამ საწუთროში ძლივსღა ვჩერდები,
გამწუთხებულა წუთისოფელი.

დღეს

რაღაც მოშხუის, მიწა ტორტმანებს,
ამოცისკარდა ზღაპრული რაში,
გადაუფრინა ველებს, გორმახებს,
ბერმუხამ ღრუბელს უთაქა ყბაში.

რაში განუდგა ამ ბნელ სამყაროს,
იკაროსივით აიჭრა მზისკენ...
გაოგნებულმა უნდა ჩავთვალო,
რომ დღეს უფალი ჩემს ღაღადს ისმენს.

ვერ მოვიხადე

ჟამთასვლას ებრძვის ზვიადი ნება,
აჰა, აფეთქდა ვაზის ყლორტები;
სიზმრის ახდენა ისევ მინდება,
რადგან გიხილე როგორ ირთვები.

ვეღარ ვშორდები ნაზმანებ ნაპირს,
კვლავ აწიწმატდნენ თარსი ფიქრები,
არ გამიწყდება იმედი ხვალის,
ფიცის ერთგული ვარ და ვიქნები.

ამაყად მიმზერს ლურჯი ცის თვალი
და უზნეობა, რომ ვერ ვიწამე,
ვერ მოვიხადე ბოლომდე ვალი,
ვერ შევიფერე შენი სინაზე.

სადღაც

სულის ანათემამ
ძლივსღა გაათენა,
დარდი განმიქარვა
დილის ნიავქარმა...

ჭალის ხეთა კრთომა
სუნთქვას ეამბორა,
სადღაც იმალება
მისი ბრწყინვალება.

ვის არ გასტეხს

უკმარისობის ჯინი აღვძარი,
ვცდილობ, დავნერგო საქმე სარწმუნო.
გაღვივებული სიბრძნის ღადარი
განწყობას უნდა შევუნარჩუნო.

ვგრძნობ, აღზევება არ მელოდება,
დრო ასამარებს წუხილის ქუხილს,
დამაჯირითებს ამაოება,
მაცრემლიანებს ქარიშხლის სუსხი.

ვის არ მოუწევს ამის ატანა
და ვის არ გასტეხს განგების რისხვა?
ფიქრებმა კიდევ დიდხანს გასტანა,
მზემ უწყალობა სხივები სისხამს.

ვით სიმარტივე

კვლავ მაცოდვილებს მიწის სიმუხთლე,
ვერ განვერიდე უმეცარ პირშავს,
ამაოება იმედს მიმუქებს,
დღეს გაგონილი აღარ ჰგავს იგავს.

ყველაფერი რომ უცნაურია,
შფოთვა გულს კვლავაც ადარდიანებს,
ეჰ, სიმარტოვე ისე მწყურია,
ვით სიმარტივე ადამიანებს.

გაუფასურდა

ჩამავალი მზის სხივთა მორევი
შავ ფარდებს სულში თანდათან ჰკიდებს,
ძალა არ შემწევს სევდის მორევის,
ეშმამ კბილები ალესა კიდეც.

მძიმედ მაწვება წყვდიადის ლოდი,
თრთიან სანთლები ფრთა შერუჯულნი,
ვერ ვითავისებ რიჟრჟის ლოდინს,
რადგან ბნელეთის მაკრთობს ჩურჩული.

მინდა შევიგრძნო მწუხრის განწყობა,
ნათდება სცენა ვნების კოლაჟით,
გაუფასურდა ჟამი საგრძნობლად
და წარსულ დროის ვარ პერსონაჟი.

ხვალ

სული-წმინდის სიდიადის
მოზღვავებას ვიზიარებ.
თემშარაზე ისევ ბარდნის,
სუსხი წიწკნის ცის იარებს.

მაშ რატომღა ვეაჯები
განჩინების განივთებას,
კეკლუცობენ დღეს ქაჯები,
ხვალ მზის გლოვა დაიწყება.

იდიდე

წარბშეკრული და უხასიათო
ველოდი ამ დღეს;
ეს განთიადი, უნიათო
სინათლეს აფრქვევს.

დაე, ვეზიდო გოლგოთის ჯვარი
მოყვასის გამო,
რომ განვიქარვო მეც წუთით ჯავრი -
განცდილი ამოდ!

ელვა

კვლავ ათუხთუხდა ვენებში სისხლი,
ვეღარ ვამრთელებ ამ გულს დაკორტნილს.
შემომიტია საწუთრომ რისხვით
მომიახლოვდა ჟამი გამოცდის.

ვერ გავემიჯნე ძალას უხილავს,
ვერ ვითავისე ვარდების თოვა.
გადავქცეულვარ უხმო წუხილად,
მოჩვენებითი სიმშვიდის ძრწოლად.

აუტალახდა მრუდე გზა-შარა,
გაწბილებული ფიქრის ნაკვალევს.
ელვამ ბინდ-ბუნდის ზვირთი დაშალა
და აღრენილი, რისხვით კანკალებს.

უიმედობა

როგორ დახრიან ვერხვები ტოტებს,
თუ არ მიეცა საფიქრალს წონა.
მოსახდენი ხომ, არ უნდა მოხდეს,
არ შემძრას ტვირთქვეშ გასრესის ძრწოლამ.

შუბლს თუ სიმწრისგან გინამავს ცვარი,
აზრი არა აქვს ბედზე მინდობას.
ვის არ წალეკავს, ამ მთის და ბარის
თავგასულობა და წყალდიდობა!

ებღაუჭება

ასე დამწველად და უსაშველოდ,
ჩემს სულის სარკეს თუ ამიტირებ.
უბიწო ცვარი გუგის გარშემო,
წამწამზე ცრემლად გაინაპირებს.

რადგან ღვარცოფმა ისე ჩარეცხა,
ცხოვრება უნდო და დაზაფრული,
ვერ გავიმრთელებ ამ გულს ნამეხარს,
ებღაუჭება კარს აღსასრული.

კვლავ ჩხერიმელა

წინაპართ ძვლების ჩურჩულის ექო,
მთებს რომ ეხვევა ყელზე ნისლივით,
თვალს გადავავლებ სერსა და ბექობს,
ციმციმ შევითბობ გულბოყვს დილის მზით.

ფესვებს იმაგრებს რცხილა, ურთხმელი,
წელს ანარნარებს იელი, შქერი.
საუკუნეთა ნაჩუქურთმევი
ამაყად გვიმზერს ბებერი ჩხერი.

აღტკინებულმა ამ სისხამ დილით
ლაჟვარდს სტრიქონი რომ შევახამე,
დაობლებული ვარსკვლავი ტირის,
აჩრდილთ მფარველობს ციხე ვახანე.

ზეშთაგონების ტალღას მივენდე
გაყურსულია დღეს დევის ხვრელა,
ღვთისმშობლის მზეა კიდით-კიდემდე
კალაპოტს სერავს, კვლავ, ჩხერიმელა.

შხუილის ექო ზარებად რეკენ,
ნაპირს გავექეც ვნებააშლილი,
სიყვარულის და სიცოცხლის მეკვლედ
წამომეშველა დევის აჩრდილი.

რადგან დამძიმდა

როს ნაფიქრალით ვავსებდი ფურცლებს,
ქარცეცხლში რითმის ბრჭყალებს ვკვალავდი.
შაშვის გალობა მომესმა უცებ
და გამიშეშდა ხელში კალამი...

მის წყლიან თვალზე მოწყდა ღიმილი,
ააწკრიალა ჰანგები მშვიდი.
ვერ ვითავისე ყველა ტკივილი, -
რადგან დამძიმდა ცხოვრების ტვირთი.

როცა ცა იქუფრება

როცა ცა იქუფრება
ბაცდება უფლება;
სანუკვარ ანცობით
მზის ღიმილს მაცნობდი.

როცა გამეფდა სევდა
სიჩუმე სუფევდა,
მესმა რისხვა ბრალმდებლის,
კრუსუნი გამცემლის.

როს სიმშვიდე კარს აღებს,
დავხატავ გზათა ფერს,
დღე სიმუხთლეს დანებდა
წყვდიადის კარებთან.

რომ არ მიენდოს

მომბეზრებია ყურება გვემის,
ვინ არ გამხდარა მიწის ულუფა.
ტანჯული სული, სხვისი თუ ჩემი,
მდუღარე ცრემლებს კვლავ გაულუმპავს.

დაკოდილ გულის ამ გამოძახილს,
გათელილ ზღუდის დათმობა არ სურს;
მოკვდავი მაინც თავს ისე არ ხრის,
რომ არ დაეყრდნოს დაბოღმილ წარსულს.

მყოფადის მრწამსი

სულს ესალბუნა საგალობელი,
დააფრთხო ღამის მოახლოება;
ამ ჭიდილისგან რაღას მოველი,
როცა განწყობა მიზანს შორდება.

როგორ აჟღერდნენ ო, ეს ჰანგები,
თითქოს აღზევდა გენი სუფრიდან.
ღამენათევი რადგან ჩავქრები,
გოდება ჩემი არვის უკვირდა...

და ეს უსაზღვრო ფიქრების ჩქერი,
თუკი ათრთოლდა ათინათებად,
გარდასულ წამის შენიღბულ ცქერით,
მყოფადის მრწამსი განისაზღვრება.

უნდა განახლდეს

განკურნავს ოდეს (მე ასე მჯერა),
გულისტკივილს და მუხთალ სადარდელს,
შენი თვალების გამჭოლი მზერა,
ოცნების სითბო ამწევს ცათამდე.

თქორი ზამბახებს კვლავაც დანამავს,
ისე სათუთად ვინახავ სათქმელს,
მას ბოლო-ბოლო ვეღარ დავმალავ,
თუმცა ეს გრძნობა უთქმელად დავთმე.

უნდა გაიხსნას ახალი სივრცე,
უნდა განახლდეს დვრიტა და მზერა...
შენი გოგმანი მახარებს ისევ
და სასწაულის ახდენის მჯერა.

სინამდვილის გარეშე

თუ არ გიღირს არაფრად
სასიკეთოდ ნამკალი,
ამაოდ ცრი არაქათს,
დაგიმწუთხდა საგზალი.

სათნოება მეფეობს
სინამდვილის გარეშე...
რავქნა, უნდა გეფერო -
გული მოითარეშე.

ვყეფ

სული აქროლდა,
მიჰყვა ქარიშხალს,
ფერი ეცვალა
ორპირ სამყაროს;
მრავლისმეტყველი
სუნთქვა გახშირდა
და ვყეფ ფარხმალი,
რომ არ დავყარო.

საჭირბოროტოდ

უმანკოებას ამკობს სიმშვიდე,
უხმობს ძველ გზირებს მყოფადის მრწამსი,
გამოიკვეთა ნიღბის სიფითრე,
დასახვეწია მეობის ფასი.

თვითდაჯერება სულში ნამყოფი,
არ არს მალამო მწველი იარის,
აფორიაქდა აზრის ნაყოფი,
დაოსებული ყოფის სიავით.

ჩემი არსების ზნეობრივ წურვამ,
ვერ ითავისა წუმპე გოლგოთად.
ვისიგრძეგანე განცდილი ურვა,
საჭირბოროტოდ მცნებას რომ მოჰყვა.

როგორ ვაღმერთე

ვერ გამოვიჩენ მაშინ მე სიბრძნეს,
როცა ბერმუხის დავკოცნი ფესვებს;
ეს უსასრულოდ გაშლილი სივრცე,
გაუცხოებას წკვარამში ეძებს.

ნუთუ ეს სხივი ისევ შენახარ?
მიუწვდომელი და მოღუღუნე;
განთიადისას მინდა მენახა,
ვნების ქარცეცხლი როგორ გუგუნებს.

როგორ ვაღმერთე ნატვრა ამგვარი,
როგორ გავჩარხე დროსთან ჭიდილი...
დღეს ზეობაა გულში ნათქვამის,
ეჰ, თვითნებურად ცეცქვავს წისქვილი.

ტკივილი ჩემი

ვინც უერთგულა მიწას და მამულს,
ვინც დაიხარჯა სულით ხორცამდე,
ვინც არ გაექცა სინდისს და ნამუსს,
მას სული წმინდა უნდა ლოცავდეს.

ვარ აკლებული მშფოთვარე განცდით;
ტკივილი ჩემი არ არს ახალი...
და ამ უბადრუკ სიცოცხლის ჩათვლით,
მუდრეგ სიკვდილთან ვარ წილნაყარი.

სულის სახადი

რამდენი რამე მინახავს,
რამდენი ავი ქუხილი.
ეჰ, კაცი ზოგჯერ წინახარ,
ხან დაგაოსებს წყურვილი.

ვერ გამიგია რატომღაც,
ვინ ვისთან, რისთვის დავობდა...
კენარის ტოტი ჩამოხმა,
ხავსიც უდროოდ დაობდა.

სხვა როგორ გითხრათ სათქმელი,
როგორ გავწალდო ნარანდი;
სულის სახადი ავცერი,
შენი ვარ კუბოს კარამდი.

განსაცდელ თრთოლვას

კვლავ დავბარბაცებ ვით თოთო ბავშვი,
რადგან შორსა ხარ ჩემგან, ძალიან.
დავეხეტები გაძარცულ ბაღში,
ფიქრებში ისევ ქარიშხალია.

დროის რისხვასაც შევეზიარე,
ვერ ვითავისე ვარსკვლავთა ქროლვა...
და მოსახდენი ჯავრის წინარე,
განსაცდელ თრთოლვის წყურვილი მოვა.

განგება

არ წაიშალა ის მონატრება,
ვერ დამავიწყა ზღვამ და ხეობამ;
მაგრამ არ ვიცი რად მელანდება,
ცას ცისარტყელა რომ ეხვეოდა...

ნაცარა ჩიტი მოფრინდა ისევ
და იკეკლუცა როგორც ეწადა.
ამაოდ ვსდიე ამ ზღაპრულ ირმებს,
რადგან გაწვიმდა, რადგან შეღამდა.

ვეღარ ვპოულობ ალიაქოთში,
აქ ძაღლის კუდი თუ სად მარხია...
და უშენობის სუსხით გათოშილს,
განგებამ რისხვა თავს მომახვია.

მოულოდნელად

მომნატრებიხარ, ნუ მეტყვი უარს
ოცნებით დაღლილს ამ წუთისოფლად,
რადგან უკუნი ჩაგვიდგა შუა,
გაუსაძლისდა აქ ჩემი ყოფნა.

მრავლისმეტყველი სინათლით სავსე
გამოიკვეთა ლანდი ტანადი,
მოულოდნელად დამადექ თავზე,
და ოცნებებში ჩავპატარავდი.

სიმშვიდეს ვკარგავ ვნებით მჭვრეტელი
და ალბათ ღირდა ღამის გათევად,
განწყობილება დაუშრეტელი,
დასასრულისკენ მიემართება.

მზის მოიმედე

გალუმპული ვარ და ლაფი მთითხნის...
სულით და ლექსით შენზე მლოცველი.
ვარ აღრენილი ყოველთვის თითქმის,
არ მინდობს ბეცი წუთისოფელი.

და ამ ცოდვების ორომტრიალში,
როგორღა ვთხოვო შენდობა ზენას,
გაუფასურდა სხივი იაზმის,
რწმენის ზეობის უფრორე მჯერა.

იმ უსაშველო ელჭექის შემდეგ,
სივრცესთან ერთად თითქოს ვმშვიდდები...
და მოღაჟღაჟე მზის მოიმედე,
შესიციცინებენ ზეცას ჩიტები.

გამიცამტვერა

ვერ გავუფრთხილდი ღვთისგან ნაბოძებს,
ვერ ვაშოშმინე, ვერა, ეს გული.
ვინ უსაყდრისა სრულად ამ სოფელს,
ვინ ითავისა აზრთა კრებული.

მიუღწევლობის მძლავრი წყურვილი
კვლავ მაახლოებს ცას მოკამკამეს,
რადგან გახშირდა ნატვრა ქუხილის,
მყოფადს ვავედრებ განუცდელ წამებს.

თუ გავიყუჩე მწველი იარა,
არ ავცრემლდები მიმწუხრის ბინდში,
ზეშთაგონებამ შემძრა კი არა -
გამიცამტვერა სიკვდილის შიში.

კვლავ შრიალებენ

დრო მერმისიდან შემომეფეთა
და დაატბორა ცა ლურჯი ტბებით.
აღზევებულა სულისკვეთება,
შეუცნობელის შეცნობით ვტკბები.

უზენაესის განაწესებით
დუმილის სიბრძნეს მოვიმკი სესხად.
კვლავ შრიალებენ დილით ვერხვები,
ლაჟვარდს კვლავ ღრუბლის ძაძები ეცვა.

უშენოდ!

სხივმოღუღუნე თვალები მიყვარს,
მოვდივარ შენთან უხმო გოდებით.
როცა ოცნება მზისკენ წამიყვანს,
გიმზერ და ცისკრის ზარს ველოდები.

გულს გახსენებამ შუქი მოჰფინა,
გაივლის კიდევ უამრავი დღე,
თითქოს უშენოდ არსად ვყოფილვარ,
ვერ დავეყრდენი იმ ძველ იმედებს.

სურვილებს ძალის მოკლებას ვამჩნევ,
დუღს ჩემი გული და წარსულს მძალავს,
რისიღა ვთხოვო შენდობა გამჩენს,
როდესაც ვებრძვი უხილავ ძალას.

მტერს გულში

ბურუსით მოცულ გზას რომ მილამპრავს,
ამ გაზაფხულის ღიმილს რა ვუყო?...
ვინ მომიშუშებს გახსნილ იარას,
გულს სიყვარულის ცრემლს ვინ გაუყოფს.

უსაზღვროების გაიხსნა კარი
და ვარსკვლავთ კრთომა მომძლავრებულა;
სივრცეს გავცქერი, გრგვინავს ცის ზარი,
ვეღარ ბობოქრობს ქარი შლეგურად.

მგონია შევძლებ სიტყვის თქმას ისე,
ამ მიწას მკერდი რომ დავუნამო,
მტერს გულში როცა ვუყრიდით ისრებს,
აღმოხდებოდა კვნესა მიდამოს.

დამუხტულია

ამდენი შური, ამდენი ზიზღი,
არ გადაიქცეს ჭექა-ქუხილად.
არ დაიღვაროს უმწიკვლო სისხლი,
სხივი მოჰფინოს ზენამ უხილავს.

დამუხტულია ღრუბლების წნეხი,
მოუთოკავი გული გაცივდა.
კარავს ანაზდად დაეცა მეხი,
მოკვდავი იმკის ხვალის საწინდარს.

მომავლის რწმენის აქროლდა ქარი

აღტყინებული ოცნების ტალღა,
ფანტავდა მხუთავ ღამეულ უკუნს,
უფსკრული ხარბად აღებდა ხახას,
ბუ ბანს აძლევდა ზარების გუგუნს.

ამოანათა როცა პირიმზემ,
ამოჩირაღდნდა მწუხარე სახე.
თქეშით დასერილ ვიწრო ბილიკზე,
ჩასაფრებულა პირღია მახე.

თითქოს მოიჭრა სურნელი ქალის
და ავედევნე ირმების რემას,
მომავლის რწმენის აქროლდა ქარი,
ვარსკვლავი იწყებს მზის ციტირებას.

მახსენდება

აუგი და ბილწი სიტყვა
მოწანწკარებს წყაროსავით,
თვალით კარგად ვეღარ ვხედავ,
მიხმობს მადლი სალოცავის.

როს ჩოჩქოლი გამძაფრდება
ულმობელი დგება წუთი.
ცისკრის ცინცხალ განათებას
სამადლობელ სტრიქონს ვუძღვნი.

როს ოცნება ფიქრში ჩავრგე,
იფანტება თითქოს ნისლი,
მახსენდება შენი ბაგე
და ძარღვებში ყივის სისხლი.

ცოტა ხნით

გაისმის დაცვენილ ფოთლების
შრიალი გოდება;
გარემოს ამგვარი ცვლილებებით
მიწა ოქროვდება.
გამვლელო, ნუ ერჩი ამ ფოთლებს,
ფეხით ნუ გათელავთ!
ცოტა ხნით, ცოტა ხნით რომ ენთონ
მოწყენილ სანთლებად.

რომ რწმენა შემრჩეს

ისევ ავანთებ კოცონს სანუკვარს,
რადგან ოცნების სანთელი ჩაქრა,
დღევანდელობის ურვას ვერ ვმუხტავ,
ვერ ავიცილებ განგების ლახვარს.

რომ გამოვაღებ სამყაროს სარკმელს,
ველარ ვერევი გულისთქმის ვარამს.
საგალობელით საკმეველს ვაკმევ
და მოსახდენის სიმძაფრე მზარავს.

სინათლის ჩქამი მოაწყდა კედელს
და ცისარტყელად აიჭრნენ ცაზე.
ხვალინდელი დღის სითბოს ვავედრებ,
რომ რწმენა შემრჩეს იმედით სავსე.

სანთელს დავანთებ

რადგან მაშინებს დღეს უბედობა,
ვერ გადავლახე მოკლე გზა-შარა.
შეძრული სულის უიმედობა,
შენმა ზმანებამ წამით წაშალა.

მეალერსება გრილი ნიავი,
ზეცას შევყურებ დიდი იმედით.
რადგან არამაქვს შიში სიავის,
საკურთხეველთან კრძალვით მივედი.

სანთელს დავანთებ, თავსაც დავუხრი,
მოლოდინს არ აქვს ზღვარი და კიდე.
განგების რისხვას საკენკს ვერ ვუყრი,
ოცნებებს ხატად კედელზე ვკიდებ.

მითხარ

ვერ განავრცეს სახელი
იდუმალმა საგნებმა,
სიუცხოვის დარჩენის
მესმის ქებაც, ძაგებაც.

გამივლია რადგანაც
გზა სწორიც და მრუდიც,
წინათგრძნობის განსაზღვრა
მთელ სიცოცხლეს უდრის.

დასაკარგი ბევრია
უიღბლობა სულს მაძრობს.
მითხარ, საით მელიან,
ბედო მკაცრზე მკაცრო.

საუფლო

უსაზღვროება
ნერვებ მოშლილი,
გრძნობა გონებას
ახშობს ქოშინით.

ძლივს აღებს კვერთხი
ვნების კარიბჭეს,
ძალუმად გელტვი,
შვებას მანიჭებ.

დღეს ამ განწყობას
სივრცე განაგებს,
აზრის განვრცობა
ზღუდავს განაჩენს.

მტერს ძილს დაუფრთხობს
ვარვარი ცისკრის,
ზეობს საუფლო
ქართული ჯიშის.

ავდარი

ბევრის მომსწრეს და ბევრისაც მომთმენს,
უნდა განწყობის აუგი მეთქვა...
მავანთ სხვაგვარი წუწუნი მორთეს,
ვერ ვეზიარე ჭრილობის ფეთქვას.

მიერეკება შავ ნისლებს ქარი,
ლაჟვარდს ავდარი ლამის თავს ახდის,
რომ შევიმეცნო ეს მთა და ბარი,
ფიქრის კარავის ჭერში დავსახლდი.

მწარე სიმართლე

კეთილი საქმე იცი რა არის?
რისი შექებაც არ დამზარდება,
გასუდრულია კვლავაც ცარგვალი,
ზურგი გვაქციეს ავაზაკებმა.

ზურგი მაქცია მგონი მოყვასმაც,
ვერ ინავარდებს მწარე სიმართლე,
აღტკინებული ვნება ოხრავს და
ამ გალიგვებულ წელს ძლივს მივათრევ.

რომ შევიფერო

გაზაფხულია,
ზეცა ელვარებს,
მომძლავრებულა
ცრემლი ლაჟვარდის,
დე, შევაფრინდე
ღრუბლის მწვერვალებს,
რომ შევიფერო
მზისკენ ნავარდი.

შესალოცია

აისის თქორი სწყურია მიწას,
ფიქრი ამღვრეულ მარულას მართავს.
კუნაპეტ ღამეს როცა არ სძინავს,
განწყობა ფიცხობს საკუთარ თავთან.

არა ვარ მხდალი და არცა მორცხვი,
ქარის ზუზუნი მეუცნაურა,
ღამის კოშმარი მკოცნის და მცოხნის,
შესალოცია დილის აურა.

რჩება უცვლელი

არს გასაკვირი
რწმენით ნახული,
ზღუდე ნაპირი
ამ გაზაფხულის.

როს თავდახრილი
სულები სდუმან,
იჭვის მახვილი
დავძაბე უმალ.

ქრება ნათელი
ჯვარზე უცმელი,
მრწამსი ნათმენი
რჩება უცვლელი.

წავიბოგინებ

ვერ ვაზიარე შემართება, გზა რომ დასრულდა,
ჟამმა ძვირფასმა ჭაშნაგირად ჩაიწკრიალა,
თუ ბედისწერის უეცარი ნება აღსრულდა,
ფიქრმა უძლურთა კარუსელი დაატრიალა.

როცა მოშხუის ნაღვლიანი მდინარე ფართო,
საოცარია სილამაზე შეუცნობელი...
მზის წამწამნაჩხვლეტ კბოდის ზემოთ მინდორზე მარტო,
ოხრავენ სულნი მოკვდავთათვის მიუწვდომელნი.

მიფერმკრთალდება ოცნებები ისევ თანდათან,
საცდურის ხილვა ნაცარს მაყრის ისევ თვალებში,
კვლავ განუსჯელად ჩამუქდება სივრცე ქათქათა,
წავიბოგინებ უკვდავების დიდ სავანეში.

სარჩევი

ჟამი გადმოშლის---------- ---------- ----------5
მაგრამ უშენოდ----------6
ვერ გავემიჯნე---------- ---------- ----------7
მდუმარებამ სიმართლის გზა იცის----------8
იმედის სხივი----------9
მწუხარებისგან----------10
ვარ ბედნიერი?!----------11
არ მინდა---------- ----------12
ასე ამაოდ---------- ----------13
ეს საოცრება----------14
ფიქრებს ავყევი----------15
შეგუება----------16
მზეს შენატრის-------- ----------17
რომ შეგასმინო----- ----------18
ბრმა აღსარება-------- ---------- ----------19
რადგან ჩამქოლა---------- ----------20
შევძლოთ ღმერთთან მისვლა -- -- --- ------ ----------21
ხილულით გამშრალი--- - ---- -- ----------22
აღმავსებს შუქი---------- ---------- ----------23
რა გამაჩერებს---------- ---------- ----------24
ვერ დაეტევა----------25
აზრის სიბეცე---------- ---- --- ------ ----------26
ვნების ფიალა---------- --- ------ ---------- ----------27
არ დაინისლოს---------- ---------- ----------28
სიზმარი წუხანდელი---------- ----------29
ლექსის ფხა---------- ---------- ----------30

თუ შეყოვნდება----------31
დამოძღვრილი ვარ----------32
დაუცხრომელი----------33
ეს აწმყო----------34
თუ რეალობად იქცა ოცნება----------35
ამ საოცრებით----------36
გულს გადავუშლი----------37
მაკრთობს ხარხარი----------38
დილის დუმილი---------- ----------39
სულმა შეუღო----------40
კვლავ ქაქანებენ----------41
ცოდვას გამხელილს----------42
სადღეისო---------- ----------43
სახვალიო---------- ----------44
სიზმარი ცხადად----------45
რაც დავთესე----------46
როს გამრთელდება----------47
ვამკე არსი---------- ----------48
მსურს---------- ---------- ----------49
არ ჩანს---------- ----------50
ვერ ვაიმედებ----------51
როს დაუბერავს----------52
საკურთხეველთან----------53
დროა----------54
აფორიაქებს---------- ----------55
ვერ ვიზიარებ----------56
განცდა---------- ------- ----------57
ისევ მივენდე---------- - ---------- ----------58

ნათელი აქვს სული წმინდანს----------59
არ ცხრება---------- - ----------60
უნდა შევება---------- ----------61
დაღლილი მზერით---------- ----------62
არ შემეფეთოს---------- ---------- ----------63
გული ატოკდა----------64
ვერ ვაშოშმინებ----------65
მომიკაკუნებს----------66
ასე მტანჯველად---------- ---------- ----------67
სანამ---------- ----- ----------68
ჩანჩქერთა თქეში----------69
ჭიდილით---------- ----------70
ველარ---------- ---------- ----------71
დღეს ალიონზე---------- ----------72
ძლივსღა---------- ----------73
დასჯა--------- ----------74
ნაპერწკლის ექო----------75
დე, დამიამე----------76
უფსკრულის თავზე----------77
ვერ ვინარჩუნებ---------- ----------78
იმწუხრება----------79
თუ ყოველივე----------80
ვნატრობ----------81
მრავალ განსაცდლის---- ----------82
ჟამის სიფითრე---------- ----------83
ნაღველით სავსე----------84
მამული---------- ---------- ----------85
ეს აღტკინება----------86

უცებ----------87
არ უადვილებს----------88
ვერ ვხვდები----------89
ძებნა----------90
ვერ ველირსე----------91
დაკვესავს ზარი----------92
ჩააწიკწიკებს----------93
გაანაპირებს----------94
მომავლის რწმენას----------95
როს ესადაგოს----------96
განწირულობა----------97
ამ გაზაფხულზე----------98
ურვის შეცნობა----------99
მომბეზრებია----------100
ნეტარება----------101
მომიხმობს----------102
მთვარის აჩრდილთან----------103
რომ მთელ დუნიას----------104
ელირსება?----------105
ვერ ვურიგდები----------106
მაჟრჟოლებს----------107
ვერ ვიადვილებ----------108
ფიქრის გორა----------109
აზრის გამჭოლი---------- ----------110
ჩემი რისხვა---------- ----------111
ამ უღიმღამო-------- ---------- ----------112
კვლავ ზეცისაკენ---------- ----------113
აიკლეს ღამე---------- ------ ----------114

მსუნაგი სილაღე----------115
ბედის ჩივილი------- ---------- ----------116
რად მაცოდვილებ---------- ---------- ----------117
საიდან გაჩნდა------- ---------- ----------118
გულს ეფონება--- - ---------- ----------119
ვხედავ---- ------- ----------120
ააქვითინებს---- --- ---------- ----------121
მძლეობენ წლები--------- ------ ----------122
რომ გავემიჯნო -- --- ------- --- ----------123
ვერ ვუთავბოლე--- -- -- ----------124
გამძაფრდა ქარი---------- ----------125
შენი ვარამი---------- ----------126
ვერ ითავისე----------127
გაანიავებს----------128
მავანმა უწყის----------129
ვერ აცოდვილებს---------- ----------130
უნდა ვამრავლოთ----------131
და როს---------- ---------- --- ----------132
რით ვითავისო-------- ---------- ----------133
ღირსი----------134
სანუგეშოა----------135
ვერ შეატოკებს----------136
შესაცვლელს შეცვლის----------137
არ ვუფრთხი----------138
აღარ მავიწყდება---- ----------139
და დამიბრუნე----------140
აღუღუნდება----------141
ვერ დავიოკე------- ---------- ----------142

და ყველაფერი----------143
როს უნებურად----------144
ამ საწუთროში----------145
დღეს---------- --- - ----------146
ვერ მოვიხადე----- ---- ----------147
სადღაც------ ---------- ---------- ----------148
ვის არ გასტეხს---------- - ----------149
ვით სიმარტოვე-- -------- ---------- ----------150
გაუფასურდა- -- ---------- ----------151
ხვალ----------152
იდიდე----------153
ელვა---------- 154
უიმედობა----------155
ებღაუჭება----------156
კვლავ ჩხერიმელა----------157
რადგან დამძიმდა---------- ----------158
როცა ცა იქუფრება---- --------- ----------159
რომ არ მიენდოს---------- ----------160
მყოფადის მრწამსი---- -- ------- ----------161
უნდა განახლდეს-- --- -- --- ----------162
სინამდვილის გარეშე--- -- ----- ----------163
ვყეფ----- --------- ------ ----------164
საჭირბოროტოდ-- - -- -- ----------165
როგორ ვაღმერთე----------166
ტკივილი ჩემი----------167
სულის სახადი---------- ----------168
განსაცდელ თრთოლვას----------169
განგება---------- ----------170

მოულოდნელად----------171
მზის მოიმედე---------- ----------172
გამიცამტვერა--- ------- ----------173
კვლავ შრიალებენ---------- -- ----------174
უშენოდ----------175
მტერს გულში----------176
დამუხტულია----------177
მომავლის რწმენის აქროლდა ქარი-- ----------178
მახსენდება----- ---------- ----------179
ცოტა ხნით---------- ----------180
რომ რწმენა შემრჩეს------- - ----------181
სანთელს დავანთებ---------- ----------182
მითხარ---------- ---- ----------183
საუფლო---------- ----------184
ავდარი----------185
მწარე სიმართლე------ ----------186
რომ შევიფერო------ ----- ----------187
შესალოცია-------- ----------188
რჩება უცვლელი--- -- ----------189
წავიბოგინებ--- --- ----------190

saungeo@gmail.com
facebook.com/saunje publishing
Tel: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88

რომ მთელ დუნიას

მიწდა, სიცოცხლე ჰეპელასავით,
თუნდაც სამი დღე,
რომ ეს სამყარო მცირეოდენ
სიკეთით ვქარგო;
ბოლო წუთზე კი ტერენტივით
ისე გავგიჟდე,
რომ მთელ დუნიას საქართველოს
სურნელი ვამცნო.

დავით არახამია